





[Handwritten signature in blue ink]

ქველი მწერლობა.

ბ-28.3.

ბარამიანი

ამბავი ბარამისა და გულამდამისა

სპარსულიდან გადმოთარგმნილი ბრძანებითა
მართველთა მეფის ვახტანგისა.

გამოცემული

ივანე კალატოზოვის და შავლე ფერაძისაგან.

ვაი სოფელო, რა შიგან-ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ჭსტირსა.

სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა;
და მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენ-გან განაწირსა.

რუსთველი.

ტფილისი.

ექვთიმე ხელაძის სტამბა ატამანის ქუჩაზე.

1880.

13.6.72 (1)

[Handwritten signature]

~~3-28-2~~

8
8-248

3510

ამ „ბარამიანის“ თარგმანი პირველად მეფე ვახტანგის
ყამს მიეწერება, რადგანაც მეფე ვახტანგის ბრძანებით
სთარგმნეს; ვინ სთარგმნა ამის ჩვენ არაფერი ვიცით,
გარდა იმისი რასაც თვით „ბარამიანის“ დასაწყისი მოგ-
ვითხრობს, რომ ეს წიგნი მეფის ვახტანგის ბრძანებით
ითარგმნაო.

შემდეგ ეს პოემა გალექსა რანანა კახის მდივანმა,
რომელიც ვახტანგის მეფის გარდაცვალების შემდეგ ქ.
ასტრახანს იმყოფებოდა და იქ ამის გალექსვით განი-
ქარგებდა სეკდასა, როგორც თვით გალექსილი „ბარამ-
იანიც“ მოწმობს. გალექსილი „ბარამიანი“ ამ ყამად
ინახება თ. გრ. თბილისის მოუწავის იოსებ ამირამის
სალამი და აგრეთვე რამდენიმე სხვა თხუზულეხანი იმავე
ავტორისა, რომლის შესახებ ვრცელად მაქვს მოყვანილი
ცნობები ჩემგან შედგენილის ქართულ მწერლების ბიოგ-
რაფიებში.

ნუთ აპრილს 1880 წ.

[წ. ჭიჭინაძე]



Handwritten scribbles or signatures at the bottom right.

ბ ა რ ა მ ი ა ნ ი

ამბავი ბარამისა და გულამდამისა

სპარსულიდან გადმოთარგმნილი ბრძანებითა
ქართველთა მეფის ვახტანგისა.

გამოცემული

ივანე ჯავახიშვილის და შავლე ივრძისაგან.

34039

ვაი სოფელო, რა შიგან-ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,
ყოვლიმც შენი მონღოზილი ნიადაგმცა ჩემებრ ჰსტირსა.
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადიოთ ძირსა;
და მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენ-გან განაწირსა.

რუსთველთაგან



თბილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა, აჯამანის ქუჩაზედ

1880



თარგმანი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го декабря 1880 г.

საქართველოს მთავრობის დასავლეთი განყოფილება
საქართველოს მთავრობის დასავლეთი განყოფილება
საქართველოს მთავრობის დასავლეთი განყოფილება

... და ამან გიბრძანებ ნათქმუნად იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ
... იმდენად რომ იმდენად რომ იმდენად რომ

ბ ა რ ა მ ი ა ნ ი

იყო ქვეყანასა შრუმელთასა ხელმწიფე შიშვარ
ზნე უკლებელი, მორჭმული და სიმღერისაგან
ამაღლებული, ლეთისაგან არა ნიეთი არა აკლდარა
უძეობის მეტი. ძიდე რაა ორმოცისა წლისა გა-
სრულდა, შეიწყალა ლმერთმა და უბოძა ყრმა,
მშვენიერი, და ნადირობასაშინა მყოფსა მიუვიდა
მახარობელი და ვითაც მართებდა უდიდესად განი-
ხარა და საბოძვართა აავსო მუნ მყოფნი და გლა-
ხაკთა ზედა განძი დიდ ძალი გასცა და სახელად
ბარამ უწოდა, და დაუწყო ზრდა დიდითა სათუ-
თობითა და რა ექვსისა წლისა შეიქმნა ფილასო-
ფოსთა მისცა წიგნისა და სიბრძნისა სწავლად, და
თოთხმეტ წლამდისინ ეგრე სრული შეიქმნა რო-
მელ მისნი მასწავლებელნი მას სიტყვასა ველარ
მიუგებდნენ, მუნით გამოაბარა და რაინდთა კე-
თილთა შეევედრა და რა წლამდისინ მითცა სრუ-
ლი შეიქმნა მშვილდოსნობასა და ასპარეზობასა

მისსა კაცთა ენა ვერ იტყვის, თექვსმეტის წლისამან
 გოლიათობას მიჰყო ხელი და რკინობა დაიწყო.
 ეგეთი ძლიერი შეიქმნა რომ მისებრივე არსად და-
 ბადებულყო. ხელმწიფემ ქიშევარ თვისი შეილი
 რა ყოვლის გზით სრული ნახა დიდათ გაიხარა
 ვეზირნი და დიდებულნი ხმნა დანადიმად დაჯდა,
 თავისი შეილი აწვია უცხო და ძვირფასი შესამო-
 სელით შემოსა და სამოცი ათასი დარჩეული
 ბუნბერაზი გააბასა, მეთოფისა ჯარი კარგათ და-
 კაზმულნი ბუკისა და ტაბლაკისა მკერეღნი ამოდ
 მოწყობილნი, მომღერალნი და აგრე უთხრა შეი-
 ლო ხელმწიფესა ყმისა მოვლა გმართებს, მოწყა-
 ლება და მიცემა მართებულად, წესი არის უწინა-
 რობა კარგია და დამნაშავეისა და შეშკოდისა მი-
 ტევება უნდა იცოდეს, ესეთსა რასმე ასწავლიდა,
 რა ხელმწიფემ ბრძანება დაასრულა ბარამ შე-
 ადგა და მამასა მუხლსა აკოცა და ხელმოქდობილი
 ტახტისა წინ დადგა, მამა დალოცა და მოახსენა
 ვითარცა მზისა შარავანდელი არ მოაკლდება ეგ-
 რეთვე შენი ხელმწიფობა ნუ მოაკლდება თავსა
 ჩემსა და თუ ფარხრმალსა მიბოძებ მინდერად გა-
 სვლა მნებაეს დიდი ხანი არის ნადირობისა სურ-
 ვილი გულსა მიძევს, ხელმწიფემ უბრძანა, რითაც
 უკუ-იყრი მშღვლი ვინ იქნებისო. ბარამ თავისი
 ლაშქარი შეიყარა და ველად გავიდნენ მინდორსა

ალყად შემოერთყნენ და ამოდ ნადირობდნენ და
 შეექცეოდნენ მხეტთა სერიდნენ, მინდორთა შუა
 გულობასა ერთი დიდი და საშინელი ლომი გამო-
 ჩნდა, მეჯელგეთთა შიგან გაერივა და ბძოლა შე-
 ექმნა, სითაც პირს იქმოდა სულ გაექციათ, ალყა
 მოიშალნ სრულიად გაიქცნენ, ასე რომ კაცი
 თვალსა ვერა მოჰკიდებდა, წინა რომელი რბოდა
 და უკან რომელი მოეწეოდა ბარამ იკითხა რას
 გარბიან იგი კაცნიო, მათ მოახსენეს ლომი მედ-
 გრად მებრძოლი აღუჩნდათ ლაშქარი სრულიად
 იწყვიტა. ბარამ ჩწყინა და თითონ ხმალ მოწვდილი
 მიუხდა, მკლავი მოშალა ლომი ცხენს ქვეშ შეუ-
 ვარდა, ბარამ ცხენისაგან გარდახდა ლომი ზე აე-
 მართა და შეუტივა, ლაშქარსაშინა ზრიალი შე-
 იქმნა საზარელი. ბარამ ლომისა წინა ფეხი თავსა
 დარცთუნა და ორივე უკანა ფერხნი შეტაცნა
 მაღლა აიღო და თავსა გარდაივლო ძღვთისა სახე-
 ლი აღსენა მიწასა დასცა და სულიცა გასცვივდეს.
 რა ლაშქართა ესე ნახეს დიდმან და მცირემან გა-
 მარჯვება მიულოცეს და იგი ლომი და სხვანიცა
 მრავლნი ნადირნი პელმწიფესა მიშვარს აახლეს.
 მის ლომისა მნახველნი დიდად გაჰკვირდეს, და
 ბარამ მხურვალისა გულითა ღმერთსა შეავედრეს.
 ბარამ ნადირობას არ მოსცილდა, მეორესა დღესა
 მინდორთა შუა ცხენსა არბევდა ერთსა ქურციკსა

გამოუდგა უკან დევნა დაუწყო ვირემ მზე დაეწვე-
 რებოდა მანამდისინ სდოვა, მიეწოვა ისარი ჰკრა და
 ქურციკი დაეცა. ძებნასა შინა ლამე ესწრა და
 მუნვე დადგა, და რა დილა გათენდა აგრევე ძებნა
 დაუწყო და ვერა ჰპოვა, შვიდი დღე და ლამე დაე-
 ყოვნა და იგი ძებნა. დღეთა შინა ცხენთა ორ
 გზის საძოვარსა მისცემდის და ეგრევე შეჯდის და
 იარებოდა, თუმცა მოშიედის ან ქურციკი და ან
 ფრინველი მოკლის შეწვის და ჭამის, მერვესა დღესა
 ერთსა დიდსა მთის ძირში მივირდა, ყოვლისაფრითა
 შემკულსა, სამოთხისა უამესად სახილველსა,
 კორდნი მწვანენი და წყარონი მშვენიერად ზედ
 მომდინარენი, ყვავილნი ფერად-ფერადნი უცხოთა
 სურნელებათა მძლეველნი. მის მიღისა წვერზედ
 კოშკი იდგა. ზარამს ჭულსა სინარული მიეცა
 ცხენსა სადავე წააძრო ბალახზე მიუშვა და თვით
 მას კოშკსა შინა შევიდა, კაცი ვერა ნახა, მაგრამ
 კოშკი უცხოთ მოფენილ მოფარდაგული დახვდა
 და ყოვლისა სახელმწიფოსა რიგითა მოწყობილი
 ტახტი მურასად შემკული იდგა და ზედა ერთისა
 ქალისა სახე ეწერა, ესრე ცოცხლად დასახული იყო
 თუმცა ეცადო ნათალსა ქებასა ვერ იტყვი. ბა-
 რამს მიჯნურობისა ცეცხლი მოედვა და გაკვირვე-
 ბული უყურებდა, ეგონა ცოცხალი ზისო წინ წა-
 დგა და სინჯვა დაუწყო დასახული კედელი დახვდა

და ესრედ მშობდა თუმცა სული არა უდგას რა-
 მან დაწერა ესეთისა ჩაცმა დახურვითაო. შარამ
 ერთისა გულისა ვატრონსა ასი, გული ჩაქდვა და
 მისთვის გაარზიყდა მიჯნურობასა ხელი მიჰყო და
 თქვა შარამი.

შარამ თქვა გული დატყუვდა, მიჯნურობისა სენითა,
 მე მომეხსება უკუნა, ვინ განმისლეს ლსინითა.

რიგია მიჯნურობაცა, ნურვინ დაუწყებთ შრზენითა.

აჲ ბიწიერი ბელქცკვა, ნუ თუ იგ ვპოვოთ სენითა.

შარამ მშაგისა გულითა, ტანტისა წინა წადგა
 ნახა ტანტისა ძირასა ერთი მოხუცებული კაცი
 იჯდა და მშვიდობა მისცა და მანცა მშვიდობით
 მოიუიონა, გვერდსა შიისვა ამ კაცსთვისთა გარდასავა-
 ლთა მშაგითა კითხვა დაუწყო, მან მოახსენა ეს ოდენ-
 ნი წელ არიან, მეაქ ვიმყოფები და ადამის თესლი
 ნი სხვა აქა მოსული არა მინახავს, მან უგრე უთხრა
 მარველად შენგან ველი შენსა ეინაობასა და სახისა
 ამის ვითარებასა და თუმცა ყვმი მომხედების შეცა
 მოგახსენებ. იგი მოდღეუნებული თვისსა მშაგისა
 მოჰყვა და თქვა: მე ოთხმოცისა წლისა კაცი უარ
 და ღლენი ჩემნი გზისა სვლასა შინა დამივლია
 და ქვეყანა სრულიად მომჩლოია მასუკან, გინეტის
 მიველ მუნებურს ხელმწიფესა ერთი ქალი
 ჰყვანდა ლურჯსა ცასა ქვეშე იმისთანა არცა

რა დაბადებულა და არცა რა წაღმართ დაიბადება,
 მისი ქება აწინდელისა ბრძნისაგან არ ითქმის და
 ფრანგნი მისსა მშვენებრებასა ვერ გამოხატვენ. სა-
 ხელად ბულანდამ ჰქვიან, კოშკი უდგას მაღალი
 და ძირსა მოედანსა გადმოჰყურებს, თვეთ შინა
 ერთხელ გამოვა კაცთა ეჩვენების, მრავალი ათასი
 კაცი მისი მიჯნური შექმნილია, მე რომ ჩინეთის
 ქალაქს მიველ ბულანდამის სახე დაწინახე სამსა
 წელსა მუნ დაერჩი ყოვლისთვისთავს მისი გამოხელა
 შევიგენ აღარსად წაველ, რასხანი გამგრძელდა
 გონებასა გავებჰვე ვთქვი, მისი შეყრა ჩემგან ვი-
 თარ ეგების სხვას რასმე ვეცადო. სიბერე მომე-
 წია და მრავალი მოვიღე და ეს სახე ჩინეთის
 მხატვრისაგან და სახელი ვიშოვნე, წამოველ აღ-
 რიდგან გზასა შინა სელასა ესე ადგილი მახსოვდა
 და მომწონდა მოველ აქა ეს სახლი ავაგე ასი
 ყათარი აქლემი შევინახე და ორი მონა დავიჭირე
 რომელი საზრდოსა მიზიდვიდნენ, სხვა ჩემი
 მორკმა და დიდებანი ამახედ დავაბნევეთ თვით მე
 დავჯექ და ეს სახე შევინახე და სიყვარული ამით
 მოვითმინე.

ვთქვი თუ შეყრა მისი ჩემგან არ კუბის არსსოდეს.
 ზღვასა ფონად არა ძალდის კერ გარდგვიქცევ თავსა
 ვბოდეს.

ცუდათ შერების ქეოშათ მიფლელი უმეტრებით ცასა
 ზომდეს.

სკლს არ მისტემს ჭკრეტად მისდა, სირკეკნითა
 ვინცა ზომდეს.

მან ბერმან კაცმან დაასრულა კითხვა დაუწყო
 უინაობა და სად მიმავლობა, მან უთხრა
 თუმცა გასმია მე მიმვარ ხელმწიფის შვილი ვარ.
 ვიყავ ერთსა ქურციკსა ისარი ვკარ მას გამოუღდექ
 და აქ ჩამოვარდი, რა ესე სახე ვნახე მიჯნური
 შევიქმენ, მან დღე წავლილმან უთხრა აწე გითქვამს
 კვლავ მისსა სახელსა ნულარ ახსენებ, შეიქეც შენსა
 სამეფოსა მიეპატრონე, მრავალნი დიდთა ხელმწი-
 ფეთა შვილნი მისსა საგონებელსა ულონიოდ
 გაუხდია მე მისმინე მშვიდობით შეიქეც. — ბარამ
 თქვა ჩემი ჩინეთ წაუსვლელობა არ ეგების, ან
 ჩემის გულის ნებას აღვასრულებ და ან თავსა ჩემსა
 წარვაგებო, მას კაცსა გამოესაღმა და წავიდა დღე
 დღე ღამე დაუდგრომელოდ ნარებოდა როცა მოშივ-
 დის ისრითა ნადირსა მოჰკლავდის, ვირომ მწვადი
 შეიწოდის ცხენსა საძოვარი მისცის მან მცირე რამ
 მწვადი შეჭამის და წაივდის თვესა ერთსა. ამა
 ყოფითა იარა, რა მზე თვისსა ალაგსა დასრულდა
 იგიცა ერთისა ბალისა კარსა მიადგა, გარეშემო
 ავზი მოვლიდა, ავზისა პირსა მრავალი, უცხო
 ხეხილნი ეხვივნეს, ბალისა მომდინარე წყალი,

მრავალ რიგათ ავსსა შინა შადრევანი უცხოთ
 მზდიოდა და შადრევანები ვარდისა ბაღსა ჰრწყვიდა,
 ბარამს მცირე შვება მიეცა გარდახდა ცხენისაგან
 და ავზისა პირსა დაჯდა, ხელ-პირი დაიბანა. ფარი
 თაქქვეშ დაიდვა და შიწვა, და უბნობდა ნეტარ
 თუმცა მაცოდინა ეს ზალი და ზლაგი ვისი არის, ამა
 სავგონებელსა შინა ხმა ესმა, ყრმარ ზე აღექ, ბარამ
 წამოჯდა ნახა ერთსა მზისა მსგავსსა ერთი ტაბაკი
 ხელთს აქვდა, რა ბარამ ზე წამოჯდა მან მხეველმან
 სუფრას გაუშალა და ტაბაკი წინ დაუდგა ზედ
 ეწყო სხვა-და-სხვა რიგი შემწვარნი და წკრილნი
 საჭმელნი უცხონი, ბარამ ჰკითხა გაფიცებ ქვეყნისა
 მპყრობელსა ვინა ხარ ანუ ეს წალკოტაგისი არის
 ანუ ვინ გამომიგზავნა, მხეველმან მოახსენა ამა
 წალკოტისა მჭირავსა საიფორჰქვიან ქაჯსა უძახიან
 ქვეყანასა ამას იგი პატრონობს, ხუთი ძმა უვის
 დიდის გოლიათობისა მქონებელნი არიან, აწა ნა-
 დირთა სროლად წარსულან, ესე სანოვაგე მათმა
 დამ მოგართოთ, სარავსა ჰქვიან სახელად, მე მინი
 გამხდელი ვარ, სარავსამ მოგახსენათ ეს იამეთ და
 მალე წაბრძანდით არამც ძმათა ჩემთა მოგისწრან
 და გაწყენინონ რამეო ბარამ უთხრა ჩემ მჭგიერ
 ასე მოახსენე სარავსასა მე შენსა ძმათათანა დაქმე
 არა მიცს მათ ჩემგნით არა უნდათრა ერთს საათსა
 აქა განვისვენებ და წავალო, მან ქალმა უთხრა

მართალსა ბრძანებ შენ მათთან საქმე არა გიცს
 მაგრამ ვაითუ მათ შეგცოდონ რამეო, ბარამს გაე-
 ცინა და უთხრა ეგრე მხატვდ ნურც შე მჭერეტო
 და საქმელსა ხელი მიჰყო მცირე რამ შეჰკამა სუფრა
 აართვა და მოახსენა არკი მოგახსენე ზვერ საძფორ
 და მისი ძმები მოდიან, ნახა ექვსნი ცხენოსანნი
 მოდიან, ერთი კაცი წინაწინ მათსა მოვა, თუსთქვა
 მთა მთაზედ შემჯდარაო. საიფორ რა ბარამ დაი-
 ნახა ძმებს უბრძანა დაიჭირეთო თავ მოწონებულ-
 მან შამსამ ცხენი გააგდო დასაჭერელად გაემართა,
 რა ახლოს მივიდა შესძახა ეინა ხარ მანდ რა გე-
 საქმებაო, ბარამ უყივლა მოგზაური ვარ თქვენთან
 საქმე არა მაქვსო, შამსამ ცხენი ზედ შეაგდო და
 ხმალს ხელი გაიკრა, შემოკერასა ლამოდა. ბარამ ზე
 წამოხტა ხელი შეტაცა და ცხენიდან ჩამოიღო ქვე
 დასცა ხელები შეუტკრა და ხეზედ მიაკრა, მისი ქმა
 ყამსა მოვიდა, იგიც მასთან დააბა, მერვე თამზა მო-
 უხდა ზგრევე მას უყო, რა ამათი ესე დაჯაბნა ნა-
 ხეს შამილ და ქამილ ორნივე ერთათ მოვიდნენ
 იგინიცა ერთმანეთსა მიაკრა და უხუცესნი ძმა საი-
 ფორ სხუას ცხენსა გარდაჯდა და ბარამს მომართა,
 ბარამიც ცხენსა შეჯდა. საიფორმა შემოჭყივლა შენ
 შედთაგან გაწირულო აწვე გაცნობო ჩემი ძალ-
 გულიო და შუბი მოუტანა, ბარამ ხმალსა ხელი
 შუბს უტკრა და მკერდივითა გაჭკვეთა, საიფორ ხმალი

მოიწოდა და თავსა დაკვრასა ლამოდა, ბარამ
 ფარი დაირქვა ხმალი მას ააღებინა და ახლოს შერჩა
 სარტყელსა ხელი ჩაუგდო მოხიდნა, საიფორ
 ცხენისა ყელსა შემოექლო და ვერ გარდმოიღო,
 საიფორ ცხენზედ აემართა და ხელ და ხელ შეი-
 ქიდნენ, ბარამ უთხრა ფალაგანო ორთავესმა ცხე-
 ნებმა აკლეს გარდავხდეთ და ეგრე შევიქიდნეთ,
 მანცა ნება დართო გარდახდნენ და ეგრე რკინობა
 დაიწყეს. შერა რომელმან დასცა, ბარამ ორნივე
 ფერხნი შესტაცა საიფორმან ზედ დაწოლა მოინ-
 დომა ბარამ ფალაგანურისა ენითა უფალი აღიდა
 და ასწივა მალა აიყვანა თავსა შემოივლო და
 მიწასა ზედა დაახეთქა, ზედ შეჯდა ხანჯლითა ყე-
 ლისა გამოჭრას ლამოდა, საიფორ საწყლად ზახილი
 შექნა. ბარამს მამის ანდერძი დააფიწყდა რომ ასწავ-
 ლიდა შენ ხელ ქვეითი შეიწყალე და შენ მტერ-
 საცა რომ მოერიო შებრალება აღირსეო, დამნა-
 შავესა და შემცოდესა ზედან თუ დრო შეგვხდეს
 შეიუნდევ, ვინცა გაწყენინონ ეცადე შენ წყალობა
 უყო და გაიერთგულოო. ბარამ უკუ იხედა ნახა
 ერთის მზისა მეჯუფთარე და მთოყარისა უმჯობესი
 ქალი მოვა ასი ოდენი ხალუმნი და მხლებელნი
 მოსდევენ, ბარამს ბუღანდამ მოაგონდა და ამო-
 იოხრა და იმ პირ მთვარესა უთხრა ვიცი ამისი
 მშველელი ვინმე ხარ, მან მოახსენა ენენი ჩემნი

მანი არიან და მაგას საიფორ ჰქვიან ქაჯთა ზელ-
 მწიფე არის, შენსა კარგსა მამაცობასა და ჩემსა აქა
 მოსკლასა პატივთ დასდევ მაპატივენ და ესენიცა
 შეიძლებენ თქვენსა სამსახურსა. ბარამ უთხრა
 მმართებს თქვენი თავაზა და სათნოსა დაქვრა და
 ამითცა რო პური მიჭამია თქვენგნით, ძოღანვე მოგახ-
 სენეთ ძმათათანა მე საქმე არა მიცს მეთქი და მათ
 საკვდავათ გამოძიმეტეს და ესენი ღმერთმან მე
 მიბოძა და სამართალო ჩემი უმჯობე არის. მან
 მნათობმან მოახსენა, მე პირსა უტყუარსა და ფიცსა
 მტკიცესა მოგართომ აწას იქით უცხოსა კაცსა არა
 შესცოდოხრა, ბარამ მას ფიცი გამოართო და გა-
 უშვა, და ბარამ წასასულელადა მოემზადა, ქალი
 მისისა ძმებითა წინ დაუდგა და მოახსენა რადგან
 ეს ოდენი წყალობა გვიყავი ამდენი თავი დაიმ-
 დაბლე ოთხსა ოდენ დღესა ამა ბალსა გამოისვენე
 ჩვენ გვიმსახურე და მერე რამ უკუ იყარე და მას-
 უკან ვითაც გწადდეს ჩვენის ჯარით გვერთს გვიახელ
 და რაცა შეძლება გექონდეს ეგრე გვიმსახურე,
 საიფორ და სარავსა ბარამს ბალში შეუძღვენენ ბარამ
 ბალშიდ სახლნი ნახა დერეფნითა და ჩარდახითა
 გამართული ავზისა შადრევნები ლომისა და ვეშა-
 პისა სახედ გაკეთებულნი პირსა და თვალსა წყალი
 სდიოდა და ავზი ივსებოდა. ბარამ მუნ შეიყვანეს
 ტახტი იდგა სახელმწიფო და მას ზედან დასვეს,

მან საიფორ გვერდსა მოისო, საიფორ დასა თვისსა
 ყურსა რამე უთხრა მან შამსას უთხრა, შამსა გა-
 ვილა და ქაჯთა უხუცესი თავადები შემოიყვანა
 კარგათ დაკაზმულნი, ბარამს მუხლსა აკოცეს მუნ
 სხდომისა ღირსნი მუნ დასხდეს ზოგნი ფერხზედან
 დადგნენ და სხვანი შემოვიდნენ და ბარამსა სალამს
 მოახსენებდნენ და ეგრევე გავიდიან, ოთხასი სხლო-
 მისა ღირსნი მუნ სრულებითა დასხდნენ და ნაღიმი
 დაიდგეს. შვიდს დღესა და ღამესა წართვით მოუკ-
 ლებელი ლხინი იყო, რომ მაშინდელსა მათსა
 შექცევასა ვერ იტყვის, მეორესა დღესა თქვა ბარამა
 მე გავალ და მერე ეგენი თითო თითო გამოვიდნენო,
 ბარამს ოქროს სელი დაუდგეს, კართან ზედან მათ
 გადენა დაიწყეს, სანამ თვალი მისწვდებოდა მანამ-
 დისინ საიფორის ქაჯთა ლაშქარი დადგა, ბარამს
 მათი ნახვა იამა და შემოქმედსა მადლი შესწირა,
 ზე ადგა და ბრძანა მე ჩინეთისაკენ წასვლა მნებაეს
 უბრძანეთ ცხენი მომგვარონ მეტსა ველარ მოვიცდი
 ბულანდამ უნდა ვცებნოო, საიფორ მოახსენა ერთი
 ჭმუნვა მაქვს გულთა შინა და მოხსენება ვერ შე-
 მომიერთაეს, ბარამ უთხრა თქვიო და მან მოახსენა.
 ჩინეთის სამზღვართა ერთი ჯურღმული არის და
 მასშიგან დევი ბუდობს და მრავალთა ზიანსა უზამს
 ჩინელთა და ჩვენსა მამულსა აოხრებს, რამთენჯერათ
 მისად საომრად მივალთ სირცხველელენი შემოვიქ-

ცევით, სახელად აფრა დევს უძახიან, აწ ჩემნი
 ძმანი და სპანი ყველანი გიახლებით ნუ თუ ძალითა
 მღვთისათა და ბედითა თქვენათა მისი მოტყუენა
 იქნას, ბარამ ბრძანა მე ლაშქარი არ მინდა თქვენ
 წამოდით ჯურღმული მიჩვენეთ შეწვევითა მღვთი-
 სათა აღრე დაგხსნა იმა ბილწისა დევისაგან, საი-
 ფორ ძმებითა იახლა და წავიდნენ, სარავსა ბარამს
 შეეხვეწა მეც თან წამეტანეთო და იგიც წარბანეს
 მრსა დღესა იპრეს და ერთსა კლაგასა გავიდნენ
 ბარამ შორით დაინახა წისლი და კვამლი ასდის-
 ვითაც აგურით თონე ენთებოდეს ეგრე მალლა
 აღიოდა, ბარამ ჰკითხა ეს რა კვამლი არისო, საიფორ
 მოახსენა დევი თურმე ჯურღმელსა შინა არის ჰს-
 ძინავს და მისი ორთქლი ამოდისო, ბარამ უთხრა
 აქ მოიცადეთ მე წავალ და თქვენ ჰსცანით თუ მე
 ღვთის მინდობითა რა დაემართო, იგინი მუნ დაჰ-
 ყარა და თითონ მურტო იქ მივიდა, ნახა ჯურღმული
 განიერი და ღრმა იყო და გარშემო წისქვილის ქვითა
 მოზღვიდილი, ბარამ მათ ქვათა ზედან თოკი მოაბა
 და შიგან ჩაეხვია და ჩავიდა, სინჯვა დაუწყო ერთსა
 ალაგსა მცირე სინათლე შემოდრიოდგ შეხვდა გზა
 დახვდა განიერი, ფარ-ხმალი მოიმარჯვა და ეგრე
 სვლა დაიწყო, ერთი დიდი სახლი იყო შიგან
 ტახტი იდგა ზედ ერთი მზისა უნათლესი ქალი
 ჯაჭვითა ება, მისსა ციმციმსა ჯურღმულისა უკუნი

გაენათლებინა, და ტახტისა ძირსა ერთსა საშინელსა
 დევსა ეძინა. ბარამ გაჰკვირდა, ქალმა ჰკითხა ყრმან
 ვინა ხარ, აქ სად მოსტედი თავი არ გეწყალვის რომ
 ამისთანა ბილწის დევისაგან ქაბუკობა შენი მრ-
 შალოსო, შეიქეც წადი ნუ მოიკლავ თავსა. შმა
 ეშმაკის დევისაგან, ბარამ მოახსენა თუმცა შენსა
 ანბავსა მაცნობებ ვისი შეილი ხარ ანუ რომლისა
 მიზეზითა აქა ზმყოფები შმა მაცთურთა თანა მასუ-
 კანით გაცნობო ჩემი ქველობა, მინ ქალმან მე
 როვზა მქვიან ქაჯთა ხელმწიფის შეილი ვარ,
 სამეფო მამისა ჩემისა სამის წლისა საჯალია სამი
 წელნი გასულან რა აქა დაბმული ვარ, როდესაც
 ჩემთან წოლას მოინდომებს შევეხვეწები და აღარ
 დაწვების, და თუცა ძალისა იმედი გაქვს ვირემ
 ეძინოს ეცადე თვარემ მღვიძარესა ასი შენისთანა
 ვერასა ჰკადრებს, ბარამ თქვა მამაცობაში არ
 ჩაგდებულა მძინარესთან ომიო. ხმალი ფეხისა ლანჩასა
 შესცა, დევსა კბენა რისამე ეგონა ფეხზედ ხელი
 მოივლო და აგრევე დაიძინა. ბარამ მღვთისა სახელობ
 ახსენა და შეუძახა, დევმან ხმასა ზედან გაიღვიძა
 ნახა ვაცო ვინმე თავსა აღგა, დაუძახა დევმან შენ
 ადამის მონათესავეგო რის იმედითა მომცდარხარ
 აქა და ჩემსა აღაგსა ფეხისა დადგმა ვითა შეძარ-
 თეო, დევმან ლოდსა ხელი დააელო და შესტყორცა,
 ბარამ ლოდი აიკდინა და დააელო მგორესა

ლოდსა და უნდოდა, რომ შესტყორცოს, ბარამ წინ
 წადგა ღვთის სახელი ახსენა და ხმალს ხელი გაიკრა
 და გულმესისხლედ შემოჰკრა და დევი ორათ
 გაჰკვეთა, დევსა სანამ სული ედგა დაკოდილობის-
 განა გამწარებულმან მანამდისინ თავი მიწასა ახალა
 და სული გასცივდა, ქალმან უყრელა შეგრჩა ხელიო,
 ბარამ არასთა მხედსა მადლი მისცა, დიდ ქებულმცა
 არს სახელი შენიო, რომ შეწვენითა შენითა დაეიხ-
 სენ ამა ბილწისა მაცდურისაგანაო. სახლი სრულად
 დაიარა განძი ჟრიცხვი ნახა; დევსა თავი მოჰკვეთა
 ქალი აუშვა, თოქსა ხელი მოჰკიდა და ამოვიდა,
 მერმე ქალსა და დევისა თავსა ამოზიდნა, ბარამს
 დევისა თავი ხელთა ჰქონდა და საიფორისაკენ მივი-
 დოდა, საიფორმა შორილამ დაინახა და წინ მოეგება
 და გამარჯვება მიულოცა და ყოველნი ხარობდნენ
 მის ბილწისაგან მორჩენისათვის, სარავსამ როვზა რა
 ნახა სიხარული მოემატა, მაგრამ არ იჩემა. ბარამ
 უთხრა: ძმანოჭიგი ჯურღმული დიდ ძალი ქონებით
 სავსე არის და მუნით ამოიღეთ და როვზა თქვენთვის
 შემეივდრებია და მე ჩინეთისაკენ წასვლა მნებაეს
 საქმე მისც, მაგრამ თუმცა თქვენი თავი დამეჭირვოს
 რით უნდა ბაცნობოთო, შამსა ახლო უდგა თავსა
 ბალანი მოიგლიჯა და ბარამს მიართვა, თუმცა
 ნახვა მოგინდეს, ჩვენი ეს დაწვი და მუნითვე
 გაახლებით, ბარამ იგი ბალანი გამოართვა და

ჩინეთისაკენ გაემართა, მცირესა ხანსა იარა, ზღვის პირსა მივიდა და იარებოდა და დიდსა ყაფანსა შევიდა, ხომალდშიგან სხდებოდნენ, ბარამ მათ უსალამა, მათ ბარამ მოიკითხეს, ბარამ თქვა: მეცა ვაჭარი ვარ და მეკობრეთა წამიღეთ, მათ მისი ნახვა იამათ და მოახსენეს, მშვიდობა იყვეს, ზღვას მოერჩეთ და ღმერთი მოწყალოე არის, ჩვენ მოგართმევთ, მეხომალდშიგან აფრა ასწივა და მიდიოდნენ, ბარამ და იგი ვაჭარი ლხინობდნენ ორსა თვესა ზღვასა შიგან იარეს მუტრუბისა კვრითა და ღურს ბინდის ყირებიტა იარებოდნენ, წინ მეღურბინდუ მცირისა კატარლიტა უძღვებოდა; ვნახეთ მას ჩვენსა წინა მძლომელსა კატარლა მოუბრუნებია და ჩვენთან მოიჭრა და გვითხრა, აგერ სულ დავინთქმითო, ნიანგი გამოჩნდა შეიქნა ხომალდსა შინა ტირილი და ერთმანეთის გამოსალმება, ბარამ იკითხა რა შეუძლიან ეგეთი, რომ ეგრე შეიჭირვებთო! მეხომალდემ უთხრა, რასაც ხომალდს ეცემის და უმშხვრეველს არ დაყენებს და დანთქამსო შევლა აღარ ეგებოს ვირემ ამასა და ასრულებდნენ ნიანგიც გამოჩნდა და მოახლოვდა. წყალითა პარსა ივსებდა მალლა ასხევდა და მოვიდიოდა, ბარამ წინ წადგა ისარსა ხელი მიჰყო და მზად დადგა, მან რომ წყალიდამ თავი ამოიღო, ბარამ ისარი შესტყორცნა და მარჯვენასა თვალსა ჰკრა, მას ხომალდთა შიგან

მოსაწყევარი ზახილი შერიქმნა, ნიანგი წყალში დაიმაღლა
 ხომალდი ზე და ქვე ინჯრღეოდა, მას შინა მყოფნი
 ილოცვიდეს და ლმერთსა ეხვეწებოდეს, კიდევ გა-
 მოჩნდა ნიანგი და რა ბარამა დაინახა მეორე ისარი
 შესტყობრცნა და იგი მეორესა თვალსა ჰკრა და
 ორნივე თვალნი დაუბრძნა, ნიანგი წყალში ხტოდა
 და წყალი ოცი ადლი მალლა შევარდის და აგრეთვე
 ჩამოდროდა, ნიანგი ორმოცსა წყრთასა ბოლოსა
 იქნევდა, ბარამ კატარღა მოითხოვს, ხელ ფეხისა
 იმედიანი მუხლ მალეთ შიგან გარდახტა კატრალისა
 მოქმედსა შათა ერქვა, ბარამ უბრძანა, მისკენ იარეო,
 მისისა ბრძანებისა მორჩილმან ნიანგსა მიმართა, რა
 ნიანგმან ბოლო მიქნივა ხმალი შემოჰკრა და ოც-
 დაათი წყრთა ვიდრე მოჰკვეთა. ზღვა სისხლით
 შეიღება, ნიანგი ულონოდ განდა, ბარამ აგრევე
 ხომალდში შევიდა, მოეგებოდნან წინა და ფერხსა
 ჰკოცნიან. ივე ერთი კიდევ მშვიდობით იარეს და
 ზანდაარსა გაეიღნენ, ლვრისა მადლობისა შემწირ-
 ელნი ზღვის კიდესა კარავნი დასცეს, ბარამ იკითხა,
 აქედამ ჩინეთს ქალაქამდისინ რაერთის დღისა
 საფარი უნდა იყვესო? მათ მოახსენეს: ოთხის დღისა
 იქნებაო, ბარამ იამა ადგა შეიჭურვა ცხენსა შეჯდა
 და წავიდა, ორსა დღესა ჩინეთს მიადგა ნახა ქალაქი,
 რომელ დიდი რაშქარს შემოსდგომია და იბრძვის,
 ბარამ ერთსა მალალსა ალაგსა ავიდა და მუხით

ზვერა დაუწყო, სალამოს ქამსა სპანი ყველანი
 გამობრუნდნენ და ბარამს ციხის კარნი დაყრილნი
 დახედეს, ერთსა მეფუნდრუკესა მიადგა კარი დაუ-
 რეკა, მეფუნდრუკემ უთხრა, ძმაო ვინა ხარო? მან
 უთხრა: ვაჭარიო, სადგომი მამიმზადეო, აგერა ქარა-
 ვანი მოდისო, მან სადგომი აჩვენა და დააყენა, მას
 მეფუნდრუკესა ავრანგ ერქვა, ბარამ ჰკითხა: ეს რა
 ბრძოლა არისო? ანუ სპანი სადაურნი არიანო,
 ავრანგ მოახსენა: ფახ ფორ ჩინეთისა მპყრობელსა
 და მეპატრონესა ჩვენსა ერთი ასული ჰყავს, შვიდ
 ცასა ქვეშე იმისი სიტურფე და ისეთი მშვენიერი
 არა ნივთია არა ეგების, თვეში ეთხელ თვისსა
 სახესა კაცთა უჩვენებს, მალლად კოშკი უდგს მოე-
 დანსა დაჰყურებს სამოსა, გამოსვლისა დრო მოვა
 ამა თემისა კაცნი და მრავალნი სხვით გზით მოს-
 რულნი ლაშქარნი იქ შეიყრებიან—მას ბუღლანდამ
 ჰქვია; ამა ჩარდახსა შიგან დაჯდების მთვარისა
 გაახლებასა იგიცა გამოვა და კაცთა ნახავს, მისი
 მნახველნი მრავალნი დაბნდების, ბევრთა სული
 ამოუვა და უფროსი ერთი გაგიჟდების ეშხითა
 მისითა, ხმა ქებისა მისისა ყოველსა ქვეყანასა გა-
 სულა. ბუღლარისა ხელმწიფის შვილმან ბეზად
 მრავალი ქონება აძლიე და ფახფორ ჩინეთის
 ხელმწიფემ მას ქალი არ მისცა და წავიდა. აწ
 ლაშქარნი უთვალაენი შეუყრია, ორასი ათასი

დიდად მებრძოლნი გოლიათითა და ხლმითა შოენს
სწადს, ბარამ რა ესე მოისმინა თვალთა წინაცა
ქვეყანათა ზედა დაუბნელდა; აჩქარდა და თქვა:
კარგსა დროსა მოგესწარ, აწ თავსა უშველო რაჲმე,
მას დღესა მუნ იყო და მეორესა დღესა ცხენი და
იარაღი ავრანგს შეევედრა და ერთი ნაბადი გამო-
ართო, ცოტა რამ მოსჭრა ქუდათ გაიკეთა და ტან-
საცა ნაბადი ჩაიცვა, მუნით გამოვიდა ქალაქს შე-
მოუარა, მას დღესა ომი დაშალეს. ბულღართა
ჯარში მივიდა ბარამ და მათნი სპანი და მოკაზმუ-
ლობა დასინჯა ბეზად კარავს შინა ტახტზედ იჯდა
დიდი და ფალაფნური აშენებული კაცი იყო, ოთხასი
კაცი ოქროსა ხელებითა უსხდნენ და სხვანი ლაშ-
ქარნი თავსა ადგნენ, სულ დარჩეულნი ჭაბუკები
და გოლიათებისა მცდელნი კაცი ახლდნენ. შუა-
დღემდინ ბულღარელთა ჯარი სინჯა და შუნდრუ-
კისაკენ წავიდა, მესადგომესა მკითხა, ჩვენნი კაცი
ვერა ნახეო: ავრანგ უთხრა? არ მოსულანო, ბარამ.
თავისი იარაღი შემოირტყა ცხენსა შეჯდჳ ვნახავ
ჩვენი. ლაშქარი რა იქმნაო, მუნით წამოვიდა და
სალამომდისინ იყო, რა მზე ჩავიდა შამსას მოცე-
მული ბაღანი დაწვა და მასვე წამსა შამსა მუნ
დაიბადა და ბარამს სალამი მისცა და მოახსენა,
რაზედ მიხმეო, ბარამ უთხრა, ჩემ შაგიერ მოაიფორს
მოახსენა, დრო ეს არის უენი ჩემზედ გარჯისაო,

ძმანი შენნი და სპანი ყველანი მომახმარე, საქმე
 ეგეთი მიძს. შამსა მასვე წამსა წავიდა და ვირემ
 ქამი გამოვიდოდა საიფორ მისის ძმებითა და ლაშ-
 ქრითა მუნ შეიყარა, ბარამ თქვა: აწვე მნებამს ვირემ
 სიბნელისა თარდაგი დახურვებოდეს, მანამდისინ
 ბეზადისა ლაშქარი მოვიკლოთ, რომ ერთიცა მრთელი
 არ დაგრჩესთ. ბარამ და საიფორ ბადისა კარაფი-
 საკენ წავიდნენ და ქაჯნი ლაშქართა დაერიდნენ
 ხოცა დაუწყეს, ვერავინ სცნა თუ რა მოუხდათ.
 ბუღლარელთა ლაშქარი ერთი შეოჯრესა უფრო
 ხოცდნენ და ცალკერძ ბარამ და საიფორ გულმდის-
 ხლედ იბრძოდნენ, ბარამ ბეზადსა კარავსა შინა
 შეუხდა, ბეზად და ბარამ ერთად შეიყარნენ და
 ცემა შეექნათ, ბარამ მოერიდა და თავი მოსჭრა და
 შუბზედ ააცვა, ბეზადისა ლაშქარნი უგრე დარეტ-
 დნენ ხელი ვერავინ განძრივა, ჩინელთა, ზრიალის
 ხმა ესმოდათ ბურჯთა ზედა ასულიყვნენ და მუნით
 იმზირებოდნენ და არ იცოდნენ რა ხმინობა იყო
 ვირემ საწუთროსა მაშენებელი ქვეყანასა მოფენილსა
 გაამხიარულებდა, ომიცა გარდასწყდა. ნახეს მრთელი
 არავინ დარჩომილიყო, ლაშქარი გაისტუმრა და
 ბარამმა ესე ყოველივე თავისი ქმნილობა დაწერა,
 თუმცა რკითხოთ ესე ქმნილობა ბარამის ნაქნარი
 არის, რაცა ბეზადსა და სპათა მისთა დაემართათ
 ბეზადს უგვანი თათბირი უფიქრია. ბუღლანდამს

ვიშოვნო. ეინცა ბეზადისა და სპათა მისთა სიხლო
 სძებნოს, ბარამს სთხოვონო ბეზადის თაფი, რომ
 შუბზედ აეცვა წიგნიც ზედ შაება და ჩინეთის კარსა
 ზედან დაასო, ბეზადის იარალი და თაფისი ცხენი
 საიფორს მისცა და ასე უთხრა: აწ წადი და როდი-
 აცა მინდა აგრეთვე გაცნობებ და მნახე, საიფორს
 მისის ლაშქრითა მასვე თემსა წავეიდნენ და ბარამ
 იგივე ნაბადი შეიმოსა და ერთსა აღგილსა დაჯდა.
 საწუთროსა განმანათლებელი გუნ შათზედ ამაღლდა
 ჩინელნი გარეთ გამოვიდნენ და ბულოარელთაკენ
 გარდისხედეს, მრთელი ველარაფინ ნახეს ბუზადის
 ჯარისა. თახფორს მოახსენეს თაფისგან ნახული.
 ხელმწიფემ დიდებულნი შეიყარა და სანახავად გა-
 მობრძანდა კარზედან. ბუზადისა თავმ შუბზედ
 აგებული ეკიდა და ზედ წიგნი შებმული დახვდათ,
 წიგნი ხელმწიფეს მიართვეს, წაიკითხეს და ყოველთა
 გაუკვირდათ და არ იცოდნენ თუ ბარამ ვინ იყო,
 ზოგნი რას ზრანვიდეს და ზოგნი რას უბნობდნენ,
 ვეზირთა მოახსენეს: ხელმწიფეო! პედნიერიმცა რქნბი
 გულამდამისა ქება ცათა შინაცა მიწევნილარს, ნუ
 თუ მუნმცა მიჯნური ჰყვანდეს და ბუზადას უგვანი
 ქცევა ნახა, მუნით გადმოიქრა და მათი ლაშქარი
 ასწყვიტა და აგრეთვე ცათა შინა ამაღლდა, ხელმ-
 წიფემ დიდებულთა მოახსენება მოიწონა და გულიცა
 ამაზედ დააჯერეს, რომ ამასა ცილი არა უნდა,

უთუოთ ასე უნდა რამ იყო, ამათი ქონება ხელ-
მწიფემ შეიტანა, და მკედარნი მიწასა მიაბარეს და
ერთი დაკოდლილი კაცი ჰპოვეს; მცირედ სული
ფეთქდა, იგი მოაცოცხლეს და ამბავი ჰკითხეს, რა
მოგიხდათო? მან მოახსენა: არა ვიცი, ჯარი სიღამ
მოვიდა, ბარამისა შუბი და წიგნი სალაროს შიგან
შეიტანეს და შეინახეს, მათი საქონელი ჯარსა
გაუყვეს და დიდი სიხარული შექმნეს, ხელმწიფისა
შეილი ბარამ ქალაქში შევიდა, სადაც გამოსასვლე-
ლი დერეფანი იყო, მას მიახლოვდა და თქვა, როდის
იქნების ჩემი მზე და სიბნელისა განმანათლებელი,
ჩემი მთვარე გამოჩნდეს და მისისა შუქითა თვალნი
განმინათლდეს, და გულსა შვება მომცეს, ერთსა
კვირასა მუნ იყო და თქვა ლექსად:

ვირქმდის მოკელოდე, მოულოდნელს მოსაწყევას,
თვალთა მომცეს სინათლენი, გულსა ლხინი მისვე მსეევას,
მოლოდინით ვირქმ კსინჯო, მე კედელნი ანუ კარნი,

როდის იქნას იგი ვნახო, გამისრულდეს სანუკარნი;
თუ არ ვნახო, როგორ გავძლო, თვალთა ცრემლი ვიწან-
წყარნი.

ეგრე მექმნას, სტავრის ნაცვლად, გარს ნახადი მოსაკარნი:

მცასა ზედან მთვარე იშვა, და როცა მოვიდა
გულანდამის გამოსვლისა ესესცნეს უოველთა რომ
ხვალისად მცისადა ქესუნისა მთვარე გამოჩნდების;

მასა ლამესა ასპარეზი სრულად კაცი თა აიესო და
 მეორესა დღესაც მრავალნი მოემატნეს ესოდესნი
 კაცი იდგა თუმცა ფეტვი დაგებნივა მრავალ ალაგსა
 არ დაეცემოდა, ბარამს ჩარდახისაკენ თვალი ჰქონდა
 ჩარდახისა კარნი დაღეს და მზისა უტურფესნი
 მხეველნი გარდმოდგნენ და მცირესა ხანსა უკან
 უკუნისა განმანათლებელი უცხოთა ნარნართა გა-
 მოვიდა და ბარამს თვალითა ნათელი წაუღო მისმან
 სხივმან ძოღანვე მოუხსენია ბარამს მისი ქება და მე-
 დურბინდესა დურბინდით მისი გასინჯვა არა შეეძლო
 ბარამ დიდსა ხანსა დაბნედილი ეგდო თუმცა ასო
 ასოსათვის მოეშორებინათ მასაც ვერა სცნობდა.
 მდეს ჰკუთსა მოეგო თქვა მე და ამისი შეყრა არა
 ეგების ნუ თუ მან მაამოს ამა საგონებელსა შინა
 ლამე ესწრა ბარამ საგდებელი შესტფორცნა და
 კოშკსა წვერსა მოაბა და ჩარდახსა ზედან ავიდა
 სარკმელსა ჰიქა გამოიღო და მუნით ყურბა დაუწყო
 ბუღანდამ ტახტზედან იჯდა ბარამ გაშმაგებულმან
 თქვა შაირი:

ღამე მესწრა გუფსა უთხარ აწ წადიო მთვარე ნახე,
 ჯამს ხელი ვკარ ამოვიდე ნაცვლად თავი გამოვსახე.

ბარამ მუნ მას ლამესა იმზირებოდა და ტიროდა
 წამსა და წამსა და ბნედასა მიეწურვის რა ამან
 მოწინილი პირი ღიმილისთვის გახსნა ჰიქა აგრევე

გააწყო და თვით ძირსა ჩამოვიდა თვისსა
 ალაგსა მივიდა და დაჯდა. ჩვეულება ჰქონდარ
 გულანდამის მხევალთა რიგი გამოსვლას მოინდო-
 მებდეს, ერთი მხევალი წინადლით ტაბაკსა აიღებ-
 დის ქალაქთა შინა ივლიდის, ზოგნი რას დასდებდენ
 და ზოგნი რას, ვისაც როგორ შეეფერებოდათ და
 მას ტაბაკსა ბულანდამს უძღვნობდენ, არათუ განძ-
 თა შეკრებისათვის ნუ თუ შემხედველთა თვალი
 ავით არა სჭერეტდენ რა გამოსვლის დრო მოვი-
 დოდა, ადგა მხევალი ერთი დავლათას უხმობდენ
 იგი იარებოდა, ბარამს მიადგა, ბარამ ჰკითხა რა
 არის ეგე? მაცოდინეო, დავლათამ უთხრა ბულან-
 დამის საძღვნოთ შენცა დადე რამეო, ბარამ ერთის
 ლალისა ბეჭედი ამოიღო და დადო გარიდამ მან მხე-
 ვალმან და ტაბაკი გულანდამს წინ დაუდგა, ბეჭედსა
 თვალი შეჰკრა. ბულანდამ ჰკითხა ეს ბეჭედი ვინ
 დასდვალ მან მოახსენა, ასპარეზთა შიგან ერთი
 ნაბდით მოსილი კაცი ვინმე ენახე და მან დადგა
 ქალმან გარდაიხედა მალლიდამ და დაინახა ერთი
 კაცი თეთრ ნაბად ცმული მისი პირის-პირ ზის.
 უთხრა ბულანდამმან თვისსა მხევალსა რგი კაცი
 ჰგავს ხელმწიფეთა შვილი არის, ამა ბეჭედსა ეტყო-
 ბის და სხვა არა თქვა რა და იგი ბეჭედი თვითვან
 შეინახა რა იგი მთვარე მიეწურა და მეორისა ვსე-
 ბა დაიწყო ასპარეზი ჯარითა აივსო ორსა მხარესა

მთვარესა მოვლოდნენ. ბარამ იგრუეე იყურებოდა,
 ბუღანდამ გამოვიდა და მასვე წამსა ბარამს შეხედა
 ჭაბუკობა მისი მოეწონა და გალიმდა ბარამს საგო-
 ნებელი შეექნა მთვარემ შემომხედა და გალიმდაჲ,
 ბუღანდამსაც ბარამისა სიყვარული მიეცა და და-
 ნაღვლიანდა შორის ბარამისა სახისა ნახეითა ბა-
 რამ წარბისა შეიღდი მოზიდნა და წამწამისა გუ-
 ლანდამს ისარი თვალის კილოსა წამწამზე მიბმით
 გაუყარა ბუღანდამ თუნ ჯდომე ველარ გასძლო
 და თვისსა საწოლსა შევიდა და ბარამს თვალთა
 ცრემლმან ნაკადულად დენა დაუწყო დ ესე ლექ-
 სად თქვა:

რა სახე აქვს ვერა ვსტან რა, მით შევიქმენ ასე ხედი,
 ას ჯერ ვნახო ეგრე მსურის არ მკეოფის არ ერთხელი,

დღესა ურთსა ბუღანდამმან თავისი დოვლათა
 მოიხმო წელან რომ შენ ბეჭელი მომიტანე ნაბდი-
 ანს კაცს რომ მოეცა თუ სთქვა მას ღქეთ იგი კა-
 ცი მუნვე ერთსა ალაგსა ზის ნუ თუ იმისი ყოფ-
 ნისა მიზეზი იცოდე მითხარო, დოვლათამ მოახსენა
 არავიცი თუ რას უზისდა თუ მიზრძანებ წაეფო იდე-
 მალ ვნახვდა ვკითხავო, ბუღანდამ უბრძანა წადი და
 მის მეტსა სულიერსა კაცსა ნუ ეჩვენებო და ჩემ
 შავიერ ჰკითხე რა არის შენი საწადელი! თუ საქო-
 ნელი გინდა მე მითხარ და ეგოდენსა მოგცემ ზიდვა

არ შეგეძლოსო, თუცა ძალი ვისგანმე გჭირს მო-
გეხმარები და თუ გიყი ხარ, წადი სადმე, მუდამ
მანდ ყოფნა რას გარგებს. მსენი აცნობე და მისი
რამე შემატყობინე დოვლათა მივიდა ბარამს ბულან-
დამის შეთვლილობა უნბო საით გამოსულხარ
და რასა ზიხარ ეგრე შეჭირვებული მუდამ დღეთა
მინდა შენი ანბავი მაცოდინო. ბარამ ამა სიტყვისა
მოსმენითა ვათა ვარდმან კოკობმან პირი გაალო
და იადონისა ენა აღძრა და დოვლათას ეგრე
უთხრა: შენ გეწოდების ბედნიერი და შენი აქა
მოსვლა ნუ თუ ჩემთვისაცა ბედნიერი იყოსო,
არა მაქვს იმისგან კიდე პირი ჩემი შენთა ფერხთა
ქვეშე დამიფენია და თვალნი ჩემნი შენთვის
შიძღვნია თუ გწადდეს ამოიღე და წაიღე, მე ვარ
ლარიბი უცხოვს გზით მოსული სამეფოთა და დედ-
მამათა მოშორებული; შემიხვეწიე და ორი სიტყვა
ჩემ მაგიერ ბულანდამს მოახსენე. მან უთხრა:
ეგეთსა საუბარსა მე პირსა ვერა ვკადრებ, თუ
წიგნსა დასწერ მივართობ. ბარამს გაეხარდა და
დასაწერი გაშალა კალამსა ჭელი მიჰყო წერა
დაუწყო და ესრედ მისწერა:

წიგნი ჰირველი ბარამისა კულანდამთა თანა.

მზემან ახლად აღმოსულმან და სარათსა შენთან
მჯდომელმან ნათელ ციმ-ციმ პირთა მღვთისაგან

ბოძებულმან თვალისა შედგმითა გამაცვიფრა და
 ათ-თორმეტსა სრულქმნილისა მთოვარისა პირმან
 გული; მომიკლა ზილფისა ქარისაგან გაფურჩქენილ-
 მან გონებანი წარტყვენა და მელნისა ტბისა საგუ-
 ბარმან სახედავთა ჩემთა ნათელი წაუღო და კვი-
 პაროზისა მარად რხევამან კაბუკობა ჩემი იაფარ-
 ჰყო, აპრილის იამან ფიქრითა თავი მოხარა და
 საესე ნაღვლითა ვზივარ ბაგე გამშრალი, პირ ლა-
 ლი ქარვად ქცეული ოხვრა განმრავლებული ოდესცა
 ამოვისუნთქამ მზესაცა ცეცხლი მოედების და
 კვამლი მისი მთოვარესა დააბნელებს შენისა სიყვა-
 რულითა მიჯნური ვარ ხელი დააჯერეთ მინდვრად
 არ გავსჭრილოვარ თუმცა მინდორთა არა ვიარები
 მტერთა და მოყვარეთაგან კრდე განმქნილოვარ,
 თმანი მე შავსა ზღვასა მივაფარენ და მეშინის
 დანთქმისაგან თვალთა ლული არა მაქვს მღვიძა-
 რეობასა შინა ვარ, შევშლილოვარ მარიხისა მზგაფ-
 სისა პირქსა სიყვარულითა თვალი ცრემლითა
 საესე მაქვს და გული ნაღვლითა ცეცხლებრ მწვე-
 ლითა ტანისა ნაკვეთი წამწმისა მგზავსათ დაწვლ-
 ლებულ არს ნათხზავთა შენტა მგზავსებულად
 ბნელსა შიგან ვიძყოფები უცხო უცხოა ალაგსა
 ლარაბულისა ქცევითა ვიარები თუ ცა შენსა ნა-
 დგურსა თვალსა შევსხლეთ არა მაქვს სიხარული
 მქონან ტირილნი უთვალაენი რა ვყო ვისთან მი-

ვიდე ესე დაფარული ვის გაუმჟღავნო ამა სენისა
 მკურნალი სად ვიპოვო ბუღბუღლსა ვგვევარ
 ვარდისა მომლოდნელსა ნახვისთვის სული ამომი-
 ვიდა მცისა მნათობო თუ იკითხავ ჩემი ანბავი ეს
 არის ბუღბუღლი თერთმეტსა ტვესა უჭირველად
 არის ვარდისა ნახვასა ელის და რა ნახვას
 შეიშლებს ზახილოთა მეორე წლამდის
 უსულო დაეგდების, აწ შენცა ვარდი ხარ არა
 ერთხელ აყვავებული და ზამთრისაგან დამხრალი
 შენ სამუდამოდ აღყვავებული ყინვა შიუახლებელი
 თვეში ერთხელ მომსვლელი, ვაი თუ მეორეს თვემ-
 დის სული ამომიფიდეს, ზენარისა მბრუნავმან ათას
 წელს გაცოცხლოს, შენთვის სიკვდილი ჩემი არას-
 მენაღულების, იგი წიგნი დაბეჭდა-დოვლათას მისცა და
 წავიდა მხეველმან წიგნა ბუღბუღლამს მიართვა გა-
 ხსნა წაიკითხა და მანცა პასუხის მისწერა.

წიგნი პირველი გულანდამისა ბარამთან პასუხად.

მისწერა ნუ თუ არ იცი სირცხვილი რა არის
 რომ ესე გეტყვა არშიყი ვარო და მიჯნურთა შიგან
 ურევივარო სით მპოვე ესეთისა წიგნისა მოწერად
 ჩემის აღლისაგან თავი არ გეწყალოვს დასაწველად,
 გიჯობდა კალამი შენი შაშრად გექმნა და თითნი
 კალმად, შაშარი თითსა სძგერებოდა და მეღნისა
 ნაცვლა სისხლი მოედინა მეწამულად შეღებულიყო

შაგი მელანი არ დასჩნეოდა და მე არ აღმომეკითხნა. ამის მეტსა არას მოგწერ თუმცა ამა პირსა ზრდანი სული ამოგივიდეს ჩემგან სარგებელს ვერაჲ ჰპოვებ ამის გარე ნულარ მახსენებ, ბუღბუღსა მსგავსებოდი ეკლის მეტსა ვერასა შეეყრები, იასა შესდარებოდი უმბზეობა დაგვწვამდა, ამა სიტყვისა თქმისათვის მიწისა მეტსა ვერასა მიხვდები, ერთსა წელსა გზასა იჯდე მთვარისა პირსა ვერა ნახავ. ესე საგონებელი გაუშვი თორემ თავსა წავაგებ ესე იფიქრე მზე ივირომელსა ბურჯსა ზის ოდეს მობრუნდების, სხვას ცუდსა ხვაშიადსა ნუ აბნარ, შარვანას. მგზავსი შექმნილხარ რა სინათლეს ნახავს შორით ყურებას არ დასჯერდება და თუ ახლოს მივა დაიწვის, შენ შორით ჭერეტას დასჯერდი ნუ თუ შარვანასავით ახლოს მიხვლის ნდომამან არ დაგწვას. ესე წიგნი დაბეჭდა ღოვლათას მისცა მან ბარამს მთართვა ბარამმა წიგნი გამოართვა აკოცა თავსა დაიდვა გახსნა და თვალთა დაიდვა მიხვან სინათლე მიეცა სახედველთა წაიკითხა ატირდა და მანცა პასუხი მისწერა.

წიგნი მეორე ბარამისა გულანდამთა თანა.

მოხსენება: მზისა წინაშე თვალცრემლიანისა დასაწყლად შტირადლისა ბარამისაგან თუმცა სწყურები და კუშტობი აგრევე შენა ხარ ჩემი მოწყალე და

წიგნი შენი ნუგეშინის მკემელი ჩემი თავი დამიც
შენისა გზასა ზედა და შენ იცი რაცა გფერობდეს
იგი მიყავი თავი ჩემი შემიქმნია შენისა ფერხისა
მტვრად, და თუ დამაბნევ სარკმელსა შიგან მზესა
ცხადად შემოვყვები და ეგრევე გნახავ, არა შეშინის
ბასრისა ხლმისაგან და არცა სხვათა მახვილისაგან,
მეხრცა მოვიდეს ჩემთვის, არცა მაშინ დავიძვრი,
აქედამ შენისა ნახვისა მომლოდნე ვარ რა ერთიცა
მიჯნურნი გყვანან ჩემნი მგზავსნი არ იქმნებიან,
შენისა სიყვარულითა ცრემლთა და სისხლთა შიგან
ვსვლდები. ჩემი ოხერა მზესა სილურჯესა მისცემს,
სული ერთი მიდგს და გული შენისა სიყვარულითა
ათასი შემქმნია, ამისაგან უარ ნუ დამსწვამ, ჩემი
საქმე მას დაერიშსა მიემგზავსა, რომ ხელმწიფისა
შვილისა მიჯნური შეიქმნა, ყოვლის წამისათვის
მის კარსა ზედან ჯდის და არა დაიძროდის და
სამიჯნუროსა ლექსსა ამობდის რაგინ ვინ რას ავსა
უზამდიან, იგი მოითმენდის, სციან და გამოაძიან
და ეგრევე მოვიდის და დაჯდის, ვერა საჯელითა
ვერა მოიშორეს. მასუკანით ორნივე და აყენი და-
უხერიტნეს, შიგან თოკი გაუყარეს და ჩამოჰკიდეს,
ეუბნებოდნენ: თუცა ამა ალაგსა დააგდებ, გაგიშვებო
იგი ამას იძახოდა, ამის უამესა ალაგსა სადა წავიდეო,
თუ გენებოს, სული ამომხადეო, მან ხელმწიფის
შვილმან ბრძანა თურმე, ჩემი ერთგული ყოფილაო,

და მისთვის უყვარვარო, ააშეებინა და მუსაიფობა დაუწყო, მეცა მანამდის აქა დავჯდები, შენცა ჩემი სიბრალული შეგივიდეს, მე თავი არა მებრალვის, შენიმცა სახელი მანამდის იხსენების, სანამ საუკუნო ცეცხლი არ დაშტეს, ზღვა წყალისაგან არ დაიკალოს და ჰაერსა ქარი არ მოაკლდეს, მანამდისინ ღლეგრძელობით იყავ. ღაკეცა იგი წიგნი. მოელათას მისცა და მან მუღლანდამს მიართვა, წაიკითხა და პასუხი მისწერა.

წიგნი მეორე გულანდამისა ბარამთან.

მჰა! უგუნურო, ვირემდისინ იქმნები ქვეყანათა ზედა ხელი, სად დაირჩობი ცრემლისა ღვარითა, ანუ რად არ გეკმარვის ეგოდენტა ნაცართა და მტვერთა შიგან თრევა? არა გასმია მიწთომელსა ნუ ეტოტინებო, ერთი რომ არ იქნებოდეს, კაცი სიცრუვით და უგუნურობით არ უნდა სცდებოდეს; წა ესე მითხარი: რომელი ტინი ვაჰკვეთე თარადის მსგავსად, ანუ რა სიაზე მიჩვენე, ანუ რა ჭირი ნახე ჩემთვის? ეს არის, შენი მუშაკობა და მღერა ყმაწვილური, რა გარდაგხდა? ის მაცნობე, ანუ როგორ უწყი მიჯნურობა შემატუობინე? არა ვიცი თუ მე რამდენი მიჯნური მყვანან შეშლილნი და ჰკუთსაგან უკიდე განქმნილნი. ჩემთვის ცოცხალნი მკედლისაებრ ქვეყანათა ზედა ხელ აღებულნი, ვინ

უწყის რამდენი ხელმწიფენი და ხელმწიფეთა შეილნი-
 არიან, ამა საქმესა, ვითა სამთელი ქართა შინა
 აღმთებულნი, თუმცა ღარიბი და უცხოთა მოსული
 არ იყო, უთოოთ თავსა მოგკვეთდი, და მევე უქა-
 მოდ სულთაგან დაგკლიდი და მრავალთა ჭირთა
 განგიმრავლებდი, სამარისა და მიწისა ნაცვლად ქვა
 კირითა დაგაკირვინებდი. ნუ თუ ჩემსა სიტუროფესა
 შენ მაყვედრებ, შენისთანა მიჯნურნი მრავალსა
 ავსა მიხვდების, არა გაქვს ვერცხლი გაცემული და
 სარგებელსა ეძიებ; ძნელად მოსულხარ და ადვილად
 წარსელა გინდა, ეგე საგონებელი გაუშვი და უმ-
 ზადებელი სანოვაგე არის, შენი გვარისა მიჯნუ-
 რისათვის ჩემი ჭვრეტა უხმარი არის, მაცნე რა ჭირი
 მოითმინე ჩემთვის? რომ აგრე, აღრე შეყრასა
 ცდილობ, რად სცდებდი, ამ საქმისათვის ბედშავ
 თავთა შიგან, სრულად ჭკუა აღარ შეგრჩომია,
 არა გასმია, მიჯნური ლეილისათვის, ხელად გაიჭრა
 და ლეილისხვაგნით მიმავალი მიჯნურსა თავსაწაღგა,
 მიჯნური ზე წამოხტა და უსალამა. ლეილამ უთხრა:
 დაჯექო, მას ჯდომად არა სცალოდა, ტრინველთა
 მისსავესა შიგან დაესაბუღარა და მხეცთა თანა მუ-
 საიფობდა, ამა ჭირსა შინა მყოფსაცა არა მიხვდა,
 შეყრა მისი და მისმან სურვილმან სულთაგან
 დაცალა, ჯერეთ მიჯნურობისა წესი უნდა იცოდე,
 და მაშინლა სთქვა: მიჯნური ვარო, შენისა შეჭირ-

ვებისა სიხარული გვიან უნდა ჰპოვო, მთელი პირი
ესე არის, რაცა მომიწერია, ახლა შენ იცი და წიგნი
გაუგზავნა. დავლათამ ბარამს მიუძღვნა, ბარამ რა
წაიკითხა, ას კეცად ცრემლი გარდმოუშვა, საწე-
რელსა ხელი მიჰყო და წერა დაუწყო.

წიგნი მესამე ბარამისა გულანდამთა თანა.

სალამი ჩემ მაგიერ შენ იაო, ახალისა საფლავისაო
მიჰბერე ვითა სურნელთა, სულნი და მოახსენე
შარდისა მტილისა მსხმოიარესა და ეგრე აცნობე,
მისი მიჯნური, მისთვის დადაგული და გულმწუხარე
მისთვის მკედარი და მზისა სიცხისაგან ვითა მწვადი
შემწვარი, შენისა ნაღვლითა, თვალთა მოუკლებე-
ლად სისხლისა ღვარი მდის და გული უწყლუბითა
გამშრალია, მსგავსი საროსა ტანი, ჩემი შეილდი-
საებრ მოხრილი არს, შენისა სიყვარულითა, გული
ხელდების და ნაღველი უფრო სივდების, სევდასა
ემატების და ოხვრასა, არა აკლდებისრა, ჩემთა
სწორთა და მეგობართა შინა ლხინი არად მიჩნს,
ესრეთ გასრული, სით წავიდე! ბაგესა ფერი აღარა
მაქვს, და ლალისა მსგავსი პირი ზაფრანათ შემცულია,
გემუდარები, შემივედრო, ამა ადგილიდამ ნუ გამა-
ძევებ, ბედ დამძიმებულსა, გლახ მიჯნურსა და ნუ
მიშლი შორით ჰერეტას, ვირემ ცოცხალ ვარ, ამა
ალაგსა ვერ დავაგდებ ნებითა ჩემითა, თავსა ჩემსა

მოგაკვლევინებ ვირემდისინ შენის პირობასა საუბარსა
 არა უისმენ, მანამდისინ დაიფედები, ან ჩემი ნება
 გაქასრულო და ანუ შეცა წავეგო, ფურთად შევი-
 ტვლები, მღერათა შინა ავმაღლდები, ნუ თუ მზესა
 თვალი შევეკრა, თუცა ერთხელ კვლავ გნახე, უთუოდ
 ჭირი გამრძდებს, სხვაგნით წასვლა არად მინდა.
 შენსა კარსა ვზივარ, ჰაჯი მაშინ შეფიქნები, როდესაც
 შენსა ფერხთა ნალახსა მტვერსა გიშოვებ, სალოც-
 ვად გავიკეთებ, ნუ თუ სირცხვილად მიგაჩნდეს
 შეწყალება უცხოთა, არა ოდეს შემაშრების თჯალთა
 წვეთი, ვირემ აქა მყოფი აქა ვიჯდე, მზეო! სარათსა
 მჯდომელო, და მთვარეო, სინათლის სატუნჯეო, არა
 გასმია? ფარად შირიმისა სიყვარულითა შესტუნისა
 მთაში გავიდა და დადგა, შირინ რა ესე მოისმინა,
 მის მთისა მტოდნეთა მისი გზა გამოჰკითხა: და
 გაიპარა, მისთვის დაკარგული ფარად ნახა და მოი-
 კითხა შენცა, რომ შენი მიჯნური მოიკითხო, რა
 აუგ გგონია, ასე წიგნი დაასრულა. დავლათას
 მისცა და ზულანდამთან გაგზავნა, წაიკითხა და
 მანცა პასუხის წერა დაიწყო.

წიგნი მესამე გულანდამისა ბარამთან პასუხად.

შე არ ვიცი, შმაგი მოხველ ანუ მიჯნურობისა
 ცეცხლმან გაგაცოფა! თუცა ღვინო გისვამს, რათ
 არ უკუგქარდა? ეგე ოდენსა მხანსა, ნუ ეძებ ჩემგან

შექარსა, თორემ სამსალას მიიღებ, ჩემსა ჭკრეტასა
 და საუბარსა ნუ ცდილობ, თორემ ჩემისა სურვი-
 ლისა აყოლა ცეცხლსა მოგიდებს, ესე მაკოდინე
 თუ საქონლითა ღიდება გჭირიან ნაბლით რადიმ ა-
 სები, თუმცა ყმათა და ადგილთა პატრონი ხარ,
 ეგრე უმეცროულად რად იქცევი? ანუ ქვეყანათა
 მჭირველი ხარ მართოდ სვლითა რას იშოვებ, რომ
 ეგეთი ხელმწიფეთა შედარება მოგინდომებია, ჩემისა
 მიჯნურებითა მრავალთ სახელდებულნი მოსულან
 და სარგებელისა ნაცვლად თავი აქა დაუდვიათ,
 შენ რომ ჩემგნით წიგნის პასუხნი მოგივიდეს, შენ
 ესეთსა აუგსა რად მკადრებ, ამა შენისა თათბირისა
 ღონესა ჯერ ვერა სადა ჰპოვებ, ჩემგან იმედი ნუ
 გაქვს; თუ გასმია, შირვანს ერთი დაფრიში იყო,
 მუნებური ხელმწიფისა ასული აბანოსა მივიდოდა
 ქარმან კუბოსა კალთა ასწივა და მან დაფრიშმან
 დაინახა და გამიჯნურდა, ყოველსა წამს მის კარ-
 ზედ მივიდოდის, ეტყოდინან: ნუ იქო, იგი არა
 მოიშრიდის, ხელმწიფემან სცნა და დარჩევს, ვიცო
 შენცა მასსავით დაგემაართება, ესე საქმე დააუდე,
 სხვა რასმე ეცადე ის გიჯობს, თუ არა შენ იცი.
 ესე წიგნი დაბეჭდა მისვე მხეველის ხელით, გაგზავნა
 ბარამ წაიკითხა და თვალთუ სისხლი მოედინა, და
 პასუხად წიგნი მისწერა.

წიგნი მეოთხე ბაჩაშისა გულანდამთანა:

უსტარო! ბედითო მივედ, მზესა წინაშე და პირმან მზისამან აღმოგიკითხოს, ნუ თუ ჩემი რამ აცნობო, საროსაებო ნაზარდსა, ესე მოიხსენე, წამალი მოუშადას გულსა მისგან დავალებულსა, იმედის მომლოდნე საკანთა მჯდომელი, წყალობას ელის. ნუმცა გარდუწყდების კაცსა მომლოდენსა, იმედი ამა მუხთალისა სოფლისაგან გასრულდა, და მისგანვე ხელ შეკრულსა ზედან გული მიბრუნოს, გული ჩემი სისხლთა შიგან ცურავს, ამას უარ ნუ დამწვავ, ღარაბსა, მისი მემუდარესა, ღამე კენესისაგან არა მძინავს, და დღე ჩემის სულთქმით დავალივე, და მას არა შესჭირსრა, ჩემთვის პირი დაბლენჯილსა, თუცა ნახევდეს ცისა მნათობთა, ცრემლნი დასცვივიან, მიჯნურისა ოხვრისა გაგონება მსმენელთაცა შეაზარებს, ნუ თუ მარისხებდეს ვინმე ესე სოფლით გასრულსა, ვითა სანთელი ქარისაგან თვალთ მხიარულო და კაცთა სულისა წამლებო, შენცა თუ გასმოდეს, ქიშმირისა ქალაქსა შიგან ერთი ხელმწიფისა შეილი იყო, მშვენიერი და ერთი დავრიში მისი არშიყი შეიქმნა და მის სასიარულო გზაზედ დაჯდა, რა ხელმწიფის შეილი გაივლიდის ამოიოხრებდა, მისნი მონანი მის დავრიშსა ჰსჯიდნენ და სცემდნენ და მან დავრიშმან ვედარ გასძლო

და მოკვდა, მის ხელმწიფის შეილსა მისმან ბრალმან უწია, აწ შენცა ჩემისა ცეცხლითა არა დაიწია, მე შენისა სოყვარულითა მუდამ ვიწვი და წამალსა შენგნითვე ველი და რუ მიბოძებ მასვე წამსა გაგმთელდები, ჩემი ანბავი თვით იცი, მე რა გაცნობო, კაცი ვისთვისაც გამიჯნურდეს მისი შორს ყოფნა და აჩნდების, შენ ვარსკვლავნი მხეველად გარს გახვევიან, მზე სამსახურსა იჭირვის, ძალი მალლისა გფარვიდეს, ჩემზედა მოწყალე იქმენ. მანცა დაბეჭდა ღვლათას ეგრე უთხრა: ეგოდენისა ჩემთვის სასჯელისა პასუხსა ღმერთი შემოგზლავს, წიგნი მიაართვი სტყევითაცა რითმე მოღბობას ეცადე, ადგა წავიდა წიგნი მიაართვა და შეთვლილობა მოახსენა, საწერელი მოიკითხა და წიგნი მისწერა.

წიგნი მეოთხე კულანდამისა ბარამთან პასუხად

ძოდანვე მოგახსენე უმეცრულად, ნუ ისჯები, ტეტრეტი მიჯნურობასა სად. იფერებს, უგუნურებისათვის ხელსა ნუ აცდენ, თუ დაჰკარგე რამე აგრე ძებნით ვერა პპოვებ, მაგა უგვანისა საქმისათვის შორის გზითა რად მოსცდი, რა ერთსა ხანსა უნდა იჯდე უსარგებლოდ; ვარდისა ნაცვლად ზამბახსა დასჯერდი, თუ იშოვნო მაგა ქცევითა, თუ იგიცა ვერა პპოვო, ველად ყვავილნი მოჰკრიფენ აწ რომ მე შენი გავასრულო, არ იცი რას იტყვიან

სწორნი ვერ მიხედნენ ერთმანეთსაო და ორნივე მოვეყინდებით, შენთვის მოძებული არარის ტახტი და გვირგვინი, ზეგარდამო და რით იქნების? შენგნით ხან კელმწიფის ასულის შოენა, ადგილი შენი არავინ იცის და სახელი დაკარგული გაქვს, ნუ თუ შენი სწორი იყო ზეზად ბულღაიელი, რომ ჩემმან სურვილმან სამყოფელი დაადგებინა, აქ მოვიდა და შეყრასა ცდილობდა და რისხვა ზეცით მოველანა, ბარამ იტყვიან, სამოთხეში მყოფსა იგი ჩამოიჭრა და ზეზადის სპათა დაეცა, ამისგან კიდევ ვერა ესცანიტრა? დილაზედ ვნახეთ ლაშქარნი, სრულიად კმალ ქვეშ დავლებულნი ეყარნენ და ასო ასო ქმნილნი ეგრე დაეთანტნენ ვითა ბზე ქარმან. ხელმწიფესა ხელმწიფე ჰმართებს და გლახაკსა გლახაკი, თუ მიჯნური ხარ? უნდა გასძლო, ჩემთვის ჭირბა ნუ იფიქრებ, ბედგლახავ არა გასმია, გასჯილი მიჯნური ლეილის ეშხითა ნანამ ისაჯა, ერთსა დღესა ლეილა მისთან მივიდა და ეუბნებოდა მე ვარ ლეილი, შენთვის აქა მოვსულვარ, მან ეგრე უპასუხა: ჩემი თავი ფეხითურთ ლეილი მგონიაო, აწ შენცა მანამდინ მოიცადე, თავით ფერხამდის ბულანდამ შეიქმნა და შენი ნება გაასრულე და მისწერა ლექსად:

ჭირნი მოგვხვდეს მიჯნურისებრ, თავი მიეცე გაძლებსა,
ხანსა ბეკრსა შრიცადე ეგებ მიხვდე შენს ნებასა.

სიყვარლისა ნაღველი დაამცირე და მიჯნურობისა დათარვა შეინახე, კაცმა საქმე კარგათ უნდა მოიყვანოს მიჯნურთა მიჯნურობისა დათარვა ჰფერობთ თუარ დაჰფარავს, უქამოდ აუგსა თქმა შეასწრობს, იგავისა შეტყობა იცოდე და გულსა იმედი მიიეც, რა ესე წიგნი წერითა დაასრულა დაბეჭდა და გაუგზავნა ბარამმა წაიკითხა, ზამთრისაგან შეკრული მათის ვარდი გაიშალა და მზისა ნახვისათვის ბაღია ღიმილითა და იმედიან მან წიგნი მისწერა:

წიგნი მეხუთე ბაწამისა გულანდამთა თანა.

მზეო, ქვეყნისა მნათობო ვითარცა მე შიხვდღი უსტარსა იმედიანსა, აგრემცა შენი წალკოტი ნუ მოაკლდების ვარდსა მოცინარესა და ყვაილთა მოცინარესა, შენი შეხედვა მიჯნურსა სულისა წაუღებს, შენის ნახვისა მოსწრაფესა აგერ სული ამომხდების პირსა სისხლი ჩამომდის, გულსა ცეცხლი მედება; ესე გებრძანა ვერ ასწორებთ შორეულთა ესე მიჯნურობა იცის თუმცა კაცსა გული არა აქვს უგულოდ რასა იქს, ლხინისა ნაცვლად კრემლითა საესე ვარ, ტახტ გვირგვინისა მაგიერ წუთსა შიგან ვერევი, თუ არა ერთის აღაგისა მეპატრონე მეცა ვარ, შენისა ქვერტისათვის აქა ვაბასრულათა ვზრევარ, შენისა ნახვისა ნდომამან შეფობა დამაგდებინა, შენისა მონებისა წადილმან პირთა ფერი წამართო.

გეხვეწებოდი და არა მისმენდი მიჯნურობისა ისარი
 გულთა შიგან გაყრილი მაქვს შენგნითა, ვინცა
 მნახვილის უცხო უცხოა იგინიცა დაიწვებოდნენ
 ჩემისა სიბრალულოთა; თუმცა სრულად შოისმენდე
 ჩემთა ჭირთა, შენცა ჭმუნვა შეგეყრების, სარო
 სამოთხისა ნორჩო ვარდისაებრ მოცინარეო, უად-
 გილოა და ღარიბისა თავისა ჩემისა იმედო, არა
 მოგეხსენება მისრეთის ქვეყანასა ერთი კელმწიფის
 შვილი იყო, მზისა მსგავსი და ნაკვეთა საროა უმ-
 შვენიერესი და კეთალითა ზნითა სრული ერთგული,
 ერთი ზანგი არშიყად გაუხდა მისთვის და ამის მეტი
 ვერა ჰპოვა ღონე. აბანოა შიგან შევიდა და ერთი
 ერთსა სარკმელსა შეწვა, რა იგი ხელმწიფისა შვი-
 ლის მონათა ნახეს მოახსენეს, თუ ერთი ზანგი
 ვინმე ვნახეთ აბანოთა შიგან მწოლი, ადგა იგი
 უმარწვილი და წავიდა ნახა სარკმელსა ზედან მწოლი,
 რა მან ზანგმან ხელმწიფის შვილი დაინახა მეტი
 ველარ გასძლო და სული ამოუვიდა. მიჯნურისა
 თუ ცეცხლი ეკიდება ტირილისაგან ველარ მოიც-
 ლის. რად ვერ ასრულებ ჩემის გულის ნებასა უნდა
 ბუღბუღლისავეთ ვით დღე და ღამე მოუწყვეტელად
 იძახოდეს და იგი საბრალოდ ექცეოდეს, მისი ეგრე
 ქცევა ღამით ვარსკვლავთაცა აატირებს და იგინიცა
 კამკამებისა ნაცვლად წუხან და ვაგლახსა იძახიან;
 ჩემი საქმეცა მათი მსგავსი არის, შენისა ჭკრეტი-

სათვის თვალთა ნათელი არა მაქვს, სიკვდილსა მოველი ყოველისა ქალაქის ამის შუა და ზბანი მაყურებელი არის, თუ სთქვა, ქვემო ნაშენიცა მას შესცქერის. მზე გრძელობით იყავ ყოველი საწადელი შენი სრულად იქმნას თუმცა ჩემი რამ ისმინო მის მომლოდნე ვიქმნები და აკეცა ღოვლათას მისცა მან ზულანდამს მიაჩთვა წაიკითხა და მანცა პასუხი აახლო.

წიგნი მეხუთე გულანდამისა ნაწამთან პასუხად.

მთავარისა პირისა არშიყი შექმნილხარ და მას-
მია ჩემთვის დიდნი ჭირნი მოგიტმენია და აწცა
აბიხარ, კაცსა რომ მიჯნურობისა ცეცხლი ეკიდე-
ბოდეს. ქვაცა იყოს დადნების. ესე მოგეწერა ხელ-
მწიფის შვილი ვარო, იგი დამიგდია და შენთან ყოფნა
სულ ხმელთასა მირჩვენიანო, შენცა იცი ამა სოფ-
ლისა საქმე, თუ როგორი აუგიანი და კაცთა ენა
ვრცელი ზღვისაგან უფრო სოველი ერთისა ნაცვლად
ასსა იტყვიან, მოცდა სჯობს თუცა ხანი გაგიგრძელ-
დეს, შორითა მთვარესა უმზირე ნუ თუ ძნელი საქმე
გაადვილდეს, ნუ ჰყოს ღმერთმან მე კაცთა მივხვდე
და თუმცა მივხვდე შენგან მეტი ვინ მიშოვნიეს
მიჯნურობისა მნახველი; განძისავეთ შეინახე და
დაფარულად გამქლავნება ავით მოახდენს, სიხარუ-
ლად ესეცა იკმარე მეცა შენთვისა მენაღვლებისა

მოცდა, ბედსა შეეყრების თვალისა ჩემისა ნათელო,
 არა გასმია, მირეთის ქვეყანასა ერთი ხელმწიფე იყო
 და ხოსრომ მის მამული წაულო და თვით სიკედ-
 ლისა მიშითა გარდინეწა და ღმერთსა მიენდო,
 რამდენსაცა ეტყოდინან ეცადე რასმეო, შენი სამეფო
 დაიჭირეო, ამას ამბობდა მოცდის მეტსა არას ვიქ-
 მანამ მოვიცდი ჩემი ალაგი მევე დამრჩესო, რა ათო
 წელი გასრულდა ხოსრო მოკვდა და მისი სახელ-
 მწიფო იმასვე დარჩა. აწ მდენცა მანამ მოიტადე მზის
 შეყრა გელირსოს, მიჯნურობისა ამხანაგი ნელად
 ყურუბა არის იმედიანათ იყავ, ამის მეტსა არას მო-
 გწერ ესე წიგნი შეინახე, დაბეჭდა და ღოვლათას
 მისცა მან ბარამს მიუტანა, ბარამს მისის ნახვითა
 შეენება მიეცა და ეგრე თქვა, ბრძანება მისი აღ-
 სრულდესო, ეგოდენსა ხანსა დავეგდები მისგან
 მომეცეს, ერთი ძვირფასი თვალი ღოვლათას მისცა
 და მრავალი სხვა აღუთქვა, თუცა გულისა ჩემის
 ნებასა მივხედე მაშინთა მოგაწონო თავი ჩემი.

აქა ბარამისაგან ჯარის მოშორება ჯერანის
 გაყოლა ქიშვარ ხელმწიფისაგან ცნობა და
 სამეზნელად კაცების გაგზავნა:

რა ბარამ შურციკსა გაჰყვა და თავისის სპანი
 მოსწყდნენ, ათსა დღესა ბარამ ძებნეს ყოველმან

მისმან ჯარმან და რაი ვერა სცნეს ხელმწიფესთან
 მივიდნენ სირცხვილფულნი და ბარამისა ამბავი
 აცნობეს, დიდად დანაღელიიანდა ხელმწიფე და
 ბრძანა: ეინცა ჩემის შვილის ამბავს შეიგნებს და
 მაცნობებს. რომ ცოცხალი არისო, თუ მკვდარი ეგ-
 ეთსა ვერასა მთხოვს არ გაუსრულო. ამ ხელმწიფის
 ბრძანებასა ზედან ათი ათასი კაცი წავიდნენ სწრა-
 ფათ ძებნა დაუწყეს შაბრანგს უბრძანა ხელმწიფემან
 შენა და ერთობლივ ჩემნი შიკრიკნი წადით მართალი
 რამე შეიტყვევითო. შაბრანგი წაფიდა თავის მორ-
 ჩილის კაცებითა რა მას მინდორსა მივიდნენ სადა
 ბარამ ისარი ესროლა, თავისთანა მყოფთა უთხრა
 აწ ცალცალკე წავიდეთ და იგრევე ვძებნოთო ნუ თუ
 ამათგანი ერთიც არი მივხედეთ რასმე ამბავსა. დაი-
 ფან ტნენ და ეძებდნენ. შაბრანგ ერთსა გზასა დადგა
 თურმე, ბარამს მას ზედან გაეელო მიჰყვა და მის
 მთისა ძირსა მივიდა და ბარამის დამკარგველი სა-
 ხლი ნახა. შაბრანგ შევიდა ტახტის წინა წადგა და
 ქალისა სახე გასინჯა, შებრუნდა და მას მოხუცე-
 ბულოსა ჰკითხა: ნუ თუ ახალ მოზარდი მშვენიერი
 ყმა ვინმე ნახე, სახე მისი ანიშნა და სახელი უთხრა
 მან ბერმან. კაცმან მისი სახე და სახელი ანი-
 შნა და აგრე უთხრა: მართალი არის მაგ სახისა
 და სახელისა კაცი აღრევე მოვიდა აქა და ესე მით-
 ხრა, მე, ღიშვარ ხელმწიფის შვილი ვარო, შიკრიკსა

გამოვეყვიო, ამა სახისა ამბავი მკითხა, მე ყველა
 უანბე იგი გამიჯნურდა და შაირს ამბობდა და
 ყველაცა მკითხა, სადა არის და სადა მყოფი მისიო
 და ანუ ვისი ასული არისო, მე წელილად ვაცნობე
 ჩინეთის ხელმწიფის ქალია და სახელად გულანდამ
 ჰქვია და რა ესრე დავასრულო, მასვე წამსა დაუ-
 ყოვნებლად წავიდა, აწ თუ არა გარდახდარა ჩინეთს
 იქმნების მუნით ძებნეთო, შაბრანგ უთხრა: მას
 ბერსა კაცსა წამოღი და ეგე ამბავი ჩვენსა ხელმწი-
 ფესა მოახსენე, მე მისად საძებნელად ვიარები მან
 ბერმან კაცმან ასე უთხრა, მე სასიარულოდ არა
 მცალს ჩემი ღღენი სელასა შინა დაელივე და აწ
 ვანვისვენებ, შაბრანგ ამხანაგებსდ აუძახა მოეშველ-
 ნენ და იგი მოდღვენებული ცხენსა შესვეს და
 ხელმწიფესა მოჰგვარეს, მას ბერსა კაცსა როგორც
 ბარამ ენახა ან რა ებბნათ ანუ ვითარ გამიჯნურე-
 ბული წასულიყო ყოველივე წელილად მოახსენა,
 ხელმწიფემ შეილის სიცოცხლეზედ გული დააჯერა,
 ღმერთსა მადლობა შესწირა და იგი ბერი კაცი
 საჩუქრითა აავსო და თავისვე ალაგსა გაისტუმრა,
 მარამ ბარამისა ჩინეთს წასვლისათვის დიდად დაჭ-
 მუნდა და უთხრა, ღოსტარ ვეზირსა დიდის დიდებითა
 ხორჭმითა და მრავლითა სპათა ჩინეთისკენ უნდა
 წახვიდეო, ღოსტარ ვეზირმა მოახსენა, შენსა სამსა-
 მურზედან და ბარამის ძებნისათვის თავი არად მე-

შურვის მაგრამ ერთის დიდებით გამისტუმრე რომ
მუნ მყოფნი გაჰყვირდნენ.

აქა დოსტარ ვეზირის ამხადება და ჩინეთისაკენ
წარსვლა ბარამის საძებნელად.

მოევახმა ვეზირი და ორმოცი ათასნი ეგრეთი
კაცი დაარჩივა, რომ ყველას ოქროს შეკაზმულ-
ბითა მარქათა იახლა და სხვანი ლაშქარნი კარგათ
დაკაზმულნი, ასა ყათარსა ჯორსა და აქლემსა
უნჯი აჰკიდეს, ლაშქართა მრავალი უბოძა; დოს-
ტარ ვეზირი და შაბრანგ შიკრიკთ უხუცესი თავისის
შესამოსველითა შემოსა და გაისტუმრა, რა ჩინე-
თისაკენ პირი ქნეს, ფიცხლად იარეს და ჩინეთის
ქალაქსა მიაღწენ და ქალაქისა კარსა დადგენ
დიდისა დიდებითა და ოთახ კარვითა. რა ჩინელთა
სცნეს მოვიდნენ და კითხვა დაუწყეს, მათ ურუმელთა
უთხრეს, ხელმწიფის კაცი ვართ, ჩვენისა ხელმწი-
ფისა შვილის საძებნელად ვიარებითო, მოგვესმა
მოსვლა მისი აქა და მისთვის მოვსულეართო. მათ
კაცთა ფახფორ ხელმწიფესა აცნობეს, ურუ-
მელთა ლაშქარნი მოსულან მრავლის ქონებითა
მდიდარნი და ამას ამბობენ: ჩვენი ხელმწიფის
შვილი აქა მოსულა და მას ვეძებთო, ფახფორ
ხელმწიფემან თავისი ვეზირი განჯურ და ათნი დი-
დებულნი გაგზავნა მივიდნენ და ერთმანეთსა მშვი-

დობისა სალიმი მისცეს და მუსაიფობა დაიწყეს,
 და ღოსტარ ვეზირმან მის საქმეზედ რებულობა
 უანბო და მართებულის ძღენითა ხელმწიფესთან
 წაიღია, ხელმწიფემ ღოსტარ ვეზირი კარგათ მიიჩნია
 და საპატიოჲსა აღაგსა დასვა; მცირესა ხანსა უკან
 ადგა ღოსტარ და მიშვარ ხელმწიფისა წიგნი და
 შეთვლილობა შახფორ ხელმწიფესა მოახსენეს,
 შახფორ თავის ხელით გამოულო და შდაბლად
 გაშალა და თვისსა ვეზირსა მისცა, მან წაიკითხა
 და ესრედ ეწერა:

წიგნი ქიშვარ ხელმწიფისა შახფორ ხელმწი-
 ფესთან:

პირველად მღეთისა ვახსენებ, რომ მისგან დაბა-
 დებულნი ვართ და არს წყალობა მისი ჩვენზედა
 ტახტი და გვირგვინი, მეორეთ მისსა წმინდათა
 სახელსა და ლოცვასა მოგწერ, მისსა მოგახსენებ,
 ურუმელთა ხელმწიფეს ქიშვარ, თქვენ, ჩინეთის
 მპყრობელსა, ესე რცოდე, რომ შეილი ჩემი ბარამ
 მიჯნურობისა მიზებითა მანდითკენ წამოსულა და
 შე არა შემიგნია, ამას ხელა მცა ვევედრები ღმერ-
 თსა თქვენ მშვიდობით გამყოფოთ და თქვენნი
 წყალობა მას ზედან იყვეს, რომ ჩემი შეილი მპო-
 ვოთ და უჭირველად მიბოძოთ, რომელიცა მაგისა
 ნახვისათვის თვალთა ნათელი მომემატების და მანამ

მე სული მიღვას თქვენი ნაკეთარი მახსოვდეს. უახლოურ ხელმწიფემან რა მიშვარის წიგნი და შეთვლილობა უკლებელად გაიგონა, ღოსტარ ვეზირსა უბრძანა, ჩვენ თქვენის ხელმწიფის შვილის ბარამისა არა ვიციორა, ამისგან კიდე ბულღარიდამ ერთი ხელმწიფისი შვილი მოსულიყო. ბაზად ერქვა და ასულსა ჩემსა თხოულობდა, მე არ მივეც და იგი ხმალზედ დადგა, ჩვენი ლაშქარნი მოწვეულნი არა იყვნენ, ციხისა კარნი დაკლიტენ და სპანი ვაწვივენ, ვირემ ლაშქარნი მოვიდოდნენ, ერთსა ღამესა ბარამ ვინმე არის ფილასოფოსთაგანი, თქმული ზეცათა შინა, იგი ჩამოსულიყო და ბულღარელნი აეწყვიტა და წიგნი დაეწერა, იგი წიგნი და მათის ხელმწიფის ბეზადის თავი შუბზედან აეგო და ციხის კარზედ დაერჭო, წიგნისა ესრედ ეწერა: ქმნილობა ესე არს, „ბარამისაგანაო“ რაცა ბეზადსა და სპათა დაემართათო, ვინც მათისა სისხლისა მძებნელი გამოჩნდეს, ბარამ არის მესისხლეო, მას სთხოვონ სხვასთან საქმე არა უცსთ. ღოსტარ ვეზირმან მოახსენა, მე ბარამის შუბსა და მისგან ნაწერს ქალაღდს ორსავე ვიცნობ. ხემწიფემ შუბი და წიგნი მოაღებინა; ვეზირმა გასინჯა და ფიციით მოახსენა, ეს ბარამის ხელთ ნაწერი არისო და შუბიცა მისივე ჩემის ხემწიფის შვილისა არისო. უახლოურ ხემწიფემ ბრძანა: ვინც შეიძლებს თუ

ბარამ საღ არის, ამ ჩემსა სახემწიფოსა შინა, ჩინე-
 თის შიგან რომელიც ქალაქი უნებს მიესცემ და
 მე ბარამს ვნახავ თუ ვითარი კაცი არისო, რომ
 ესები შესძლებია კაცთა უცნაურად, ვგ ოდენი
 ლაშქარი დაუხოცია, სწრაფათ მონახეთ და ჰპოვეთო,
 დაუწყეს ძებნა, საქურჭლისამა ვინმე ეს გულანდამს
 მოახსენა; მან ეგრე ბძანა: ნეტარ თუ გამოჩნდეს
 ვნახოთ მისი გოლიათობა და შეძლება, შახფორ-
 ხემწიფის დიდებულნი და ვეზირნი თავისის კაცე-
 ბითა იარებოდნენ და ეძებდნენ, შაბრანგმა, თქვა
 აქა ბუღანდამის სიყვარულითა მოსულა, იმისი
 სიახლოსა იქნების სადმე. ერთსა კაცსა ჰკითხეს,
 ბუღანდამის სამყოფი რომელსა მხარესა არისო,
 მან კაცმა თითოთა ანიშნა; შაბრანგი იქითკენ წავიდა
 ბუღანდამის სრისა გარეშამო იარებოდა და აქეთ
 იქით იხედვიდა, ნახა ასპარესთა შიგან ერთი ნაბლით
 მოსვილი კაცი იჯდა, შაბრანგ ახლო მივიდა შინჯვა
 დაუწყო, იცნა ბარამ იყო და მასვე წამსა მიიქცა
 შახფორ ხემწიფეს და დოსტორ ვეზირს მოახსენა,
 ბარამ ვპოვე, ხემწიფე ფეხზედ წამოდგა და იქ
 მსხდომნი სულ აიშალნენ. შაბრანგმა მოახსენა:
 ხემწიფე ნუ გათხჯება ჩვენ წავალთ და ბარამს აქ
 მოვიყვანთ, მას დღეს რაცა ხელმწიფეს ემოსა და
 ანუ დოსტორ ვეზირსა, შაბრანგს მისცეს და შახფორმა
 თავისა ვეზირსა განჯურს უბრძანა, დიდებულნი

შეიყარუნ ღოსტარ ვეზირსა იახლენ და ბარამ აქ მოიყ-
 ვანეთ. მონიე ვეზირებო წავიდნენ ბარამისაკენ,
 ჯიორი და ჩინელნი ვისაც მაშინდელი მათი ამბავი
 მოესმინა ვინ ვის ასწრობდნენ მისკენ მირბოდნენ,
 რა ახლოას მივიდნენ შაბრანგ, ღოსტარ ვეზირსა
 მოახსენა, ნაბდით მოსვილი რომ არის, ბარამ
 იგი ძრისო. მონიე ვეზირები გარდაბდნენ ცხენი-
 საგან და ბარამის სასალმოდ წავიდნენ, რამისთა
 ლაშქართა ბარამ იცნეს ღმეროსა მადლი მისკეს,
 მათისა სიხარულითა კაცო გაჰკვირდებოდა. ზრთალი
 ბუღანდამს ესმოდა ჰკითხა, რა ხმობობა უნდა
 იყოსო? მხვეალთა მოახსენეს, ბეზადის მოსისხლე
 გამოჩენილაო, აქ რომ ნაბდით მოსვილი კაცო იყო
 იგი ყოფილაო, აქამდისინ ვერავის შეუფენია და აწ
 უპოენიათ მისნო სპანი, რომ მოვიდნენ. მათ ხმა-
 ნობაზედ ბუღანდამმა სარკმლითი ყურება დაუწყო,
 ნახა ღოსტარ და ბანჯურ, ორნივე ბარამთან მივიდ-
 ნენ; ღოსტარ ვეზირი ხელსა და ფეხს ჰკოცნიდა
 რა ღოსტარ მისგან მოეცალა სახემწიფო ტანისამოსი
 მოატანინა, თვალითა ძვირფასითა და მარგალიტითა
 ობლითა შემკუდი, შემოსა და გვირგვინი დაბურა
 მზისა უნათლესი და ღრუბელ უკუყრილისა ცისა-
 გან უმშვენიერესად მოქედილიც ცხენსა შესვეს
 ხემწიფეთა შესაფერსა და მისის ქაბუკობისა საფერ
 გასაწყოსა და აკახმულობასა მისა ვინ მოგონებს,

და თუცა კაცთა მოაგონდეს ენა ვით გამოიტყვის;
 ვეზირნიცა შეხედნენ და წამოიყვანეს აბანოსკენ.
 ბულანდამმა დაინახა და საგონებელი შექმნა და
 თქვა ვაი თუ სიმდიდრემ მოატყუოს წავიდეს და
 ჩემი არა ინაღვლოსრაო, ღველათა მოიხმო და უთ-
 ხრა ის ნაბლით მთსილო კაცი არკი უბნობდა ხელ-
 მწიფის შვილო ვარო და ჩვენ არ ჯეროდითო, ნახე
 თუ როგორისა დიდებულის მქონებელი ჩვენთვისა
 ბეჯითად იჯდა და აწკი არ წავიდა; წადი შეიგენ
 მამა ჩემი როგორ დახედების და ან იგი ვით შევა
 ამბავი მიანბეო. ღველათა მაყურებლად და ამბის
 საცნობლად გაგზავნა, ვირემ ბარამ აბანოდგან
 გამოვიდოდა ღველათა მივიდა და იგიც გამოვიდა.
 შახფორ ხელმწიფისაგან, ძნელად ფას დასადებელი
 მოუვიდა ბარამსა და იგიც შეიმოსა, ბანჯურ ვეზირი
 წინ წაუძღვა ქალაქსა შიგან ხელმწიფისა წალკოტი
 იყო და მას წინას რა და მუნ გარდახდა ბარამ,
 შახფორმა ბრძანა მსურის მეც მუნ ენახო, ბარამს აც-
 ნობეთო. კაცი მოუვიდა ხელმწიფეს მისვლა ღოსტარს
 უთხრეს, ვეზირი დიდის გამოჩენით ეცადა დახლო-
 მასა წალკოტი სრულიად უცხოხა და უცხოხა კარ-
 ვებითა აავსეს, სრას ფარდები დაჰკიდეს რომელიც
 სადა გაეწყობოდა და მოიღეს შურასად შემკული
 ტახტი დადგეს, ბარამი მას ზედა დაჯდა და ორასი
 სხვა სელები დადგეს ოქროს და ორასი დიდე-

ბულნი დასხდნენ. და სხვანი სპანი გარს შემოერთ-
 ყნენ, ეგრე წყობით იყვნენ რომ სახილველად საამო-
 იყო, ბარამ ჯის და ეგრეცა მუნ მყოფნი, მხიარულად
 პურობა გარდაიხადეს, მას დღესა სიხარულითა; ბა-
 რამის ჰპოვნისათვის იგი დღე შვევით დალივეს და
 მეორესა დღესა ხელმწიფე მობრძანდა, ბარამ წინ
 მიეგება ხელმწიფემან პირსა აკოცა და ბარამ ხელსა,
 დასხდნენ მრავალი უცხო სასმელი და უცხო შემ-
 ზადებული მაჯუნ და შაქარი მოიღეს, რომ მას
 ხელმწიფესა არ ასმიოდა, ღოსტარ ვეზირმა ცხრა
 ტაბაკი ძვირფასი სახემწიფო იარალი შემოიიტანა,
 შახფორს უძღვნა და მოახსენა მცირე ძღვენი ქიშ-
 ვარ ხელმწიფის წინაშე და მოახსენა ესრეთ, თუმცა
 შეილი მასი ბარამ დიდისა ჭაბუკობის მქონებელი,
 გულ დაკოდილად არ შეაქციოთო. ხელმწიფემ მადლი
 უბრძანა და ბარამს საუბარი დაუწყო და ჰკითხა
 თქვენი და ბეზადის ომი როგორ მოხდაო, ანუ
 ბეზად შენ ვით მოჰკალიო ეს მაცოდინეო, ბარამ
 ყოველივე მოახსენა მე მიქნია და სისხლიცა
 მათი მე მაძვესო, ამა სპათა გარე სხვანიცა ლაშ-
 ქარნი მყვანან, მათ კაცი ვერ იხილავს ბრძოლასა
 შინა, შახფორ ჰკითხა იგინი ვინ არიანო, ბარამ მო-
 ახსენა ქაჯნი არიანო, მათსა ხელმწიფესა საიფორ
 ჰქვიანო ხუთნი ძმანი არიან, ერთსა შამსა ჰქვიან
 მეორესა შამსა, მესამესა თამზა, მეოთხესა ძალიმ

და მეხუთესა შამილ, ორას, ათასის ლაშქარის
 პატრონი არიან, და ბარამმა აფრა დევი ვით მოკლა
 იგიცა მოახსენა. შახფორ უბძანა, თუმცა მათი ნახვა
 გწადეს რითი მოიწვევ რო მაშინვე იქ მოვლენ?
 ხელმწიფემ მათი ნახვა მოინდომა და უთხრა თუმცა
 მოიწვევ და მიჩვენებ დიხ კარგი იქნებაო, ბარამმა
 შამსას ბალანი დაწვა და თვალის უმაღლესად შამსა
 მოვიდა და ბარამს ხელს აკოცა, ბარამა უბძანა,
 ჩემს მაგიერ ძმასა შენსა საიფორს მშვიდობით აღრე
 ნახვა უამბე და ეგრე მოახსენე ძმანი შენი და ზოგნი
 ვინმე თავადები თანა იახელო და მნახე საქმე რამე
 მიცხო. ქარისაგან უმაღლედ გაქრა და ეს ბარამის
 შეთვლილობა შამსამ საიფორს მიუტანა, საიფორ
 აჩქარდა თავისის ძმებითა და ოცდა ათი ათასისა
 კაცითა ბარამს თავსა წადგა, შახფორ ბძანა მათთვის
 სასახლის დაცლა და დაყენება საიფორ თავისის
 ძმებითა მოვიდა და ბარამს ხელს აკოცა, მიბრუნდა
 და შახფორ ხელმწიფესაც ხელს აკოცა, ბარამმა საიფორ
 გვერდს მოსვა და ძმანი მისნი მისსა ალაგსა დას-
 ხდნენ და ქაჯთა ლაშქარი ბარამის მხარეს დადგნენ,
 თვით ხელმწიფეს შახფორსა და მისთა დიდებულთა
 უკვირდართ ბარამისგან ეგეთის დიდებისა ქონება და
 ქაჯთა მორჩილება, შახფორ ბძანა ვისაც უნებდეს
 თამაშათ მოვიდნენ ნურავინ დაუშლით; მოვიდნენ
 დაიწყეს მნახველთ მოდენა რიგ რიგად და ესე ამ-

ზაგი ბუღანდამს მიესმა, მსწრაფლად სხვისა სახით
 მოეკმაზა დავლათა უკან მიიღვენა და ზოგნი ვინმე
 თანა წაიძღვენა თუცა ბარამისა წახვისა მოსურნე
 იყო. თამაშად წაეიდა და შორიხ მათი ქცევა გა-
 მინჯა ქაჯთ ლაშქარი წახა და ბარამს თვალი
 შექკრა შამასთანა მჯდომსა და საგონებელი შექმნა
 ვაითუ ბარამწაჭიდეს და მე ასე გულ მტკივნეული
 დამაგდოსო ამას ამბობდა, გამობრუნდა ხვისსავე
 სადგომსა მოვიდა. მათ ოცსა დღეს ლხინი არ მო-
 შაღეს მუნვე ბარამსა სმიდეს, დღესა ერთსა კაცი
 ვინმე მოიჭრს და ფიცხელად შახფორსა მოახსენა:
 ბუღლარის ხემწიფე წამშად ორასი ათასის ზანგე-
 ბულისა შავის კაცითა შოგა ბეზადის სისხლოსა სა-
 ძებრად და ამას უბნობს, ჩემისა შეილისა სიკვდილი
 ვისმეცა შევარჩინოვო, ღვალვე ქალაქისა კარსა
 მიადგებიან. შახფორ მეტად შეწუხდა, ბარამ იკითხა
 ხემწიფესა რა ეწყინა ეგეთიო, მან ნავშადის მოსვლა
 უამბო ბარამ გალიმდა და მოახსენა მათთვის ხემ-
 წიფე ნუ შეიჭირვებსო მღვთით მეცა შემიძლიან
 მათი პასუხის გაცემაო, მას დღეს ნადიმი პირველ
 დებულგბრივ დაიდევს და ლხინსა არ მოსცილდეს
 დღე იგი ისე დალიეს, რა დილა გათენდა ბარამ
 თვისთა სპათა უბძანა გარეთ გასვლა ოთახთა და
 კარავთა დადგმა, გავიდნენ და დადგეს შუაზე ბარამ-
 მისთვის მარჯვნივ საიფორისათვის და მარცხნივ

ვეზირისათვის მეორესა დღეს ნავზადის კარავი მო-
 იღეს და ბარამის პირის პირ დადგეს შახფორ
 ხელმწიფემ ბძანა, ჩინეთის ლაშქარნიც გავიდნენ, ბა-
 რამს ესმა და ღოსტარ ვეზირს უბრძანა, ხელმწიფესა
 წინაშედ მიველ ჩემაგიერ სალაში მოახსენე თავის
 ჯარსა დასტური უბოძოს მე არად მეჭირვების; თუ
 უნებს ციხეთა შინა რომელიც მალალი კაცი იყოს
 რომ ჩვენს იყურებოდეს მუნ დაბძანდეს გვიმზიროს
 და ჰსცნას ვინ უკეთესი მეომარი არის. ვეზირმა
 ხემწიფეს თვისსა, ბარამისა შევედრებული
 მოახსენა და ნება დართო ჩინელნი სრულიად კოშკზე
 ავიდნენ და მუნით იმზიროდნენ, ნავზადის ჯარნი
 შესხდნენ და რაზმი დააწყეს, შავი და ის ფერი დრო-
 შები და აქეთ ბარამ ბძანა ჩვენი ლაშქარნიც წყო-
 ბით დადგნენო, ღოსტორ ვეზირმან თავისის ჯარითა
 ისრის სროლა არჩივა, ძალის იმედებულთა გოლია-
 თითა ბრძოლისა სურვილითა თვალნი გაერეტნეს
 და აქეთ იქით იხედვიდნენ და იძახდნენ ვინ ხართ
 ომისა მოწადე გამოდიო, ვნახოთ ნავზადის ჯარი
 დგან ერთი ფალევიანი გამოვიდა მეტის ძალისა იმე-
 დებული სახელად შირვანქას უძახდნენ, თვით ნავ-
 შადის მამის ძმის-წული იყო. ცხენი შემობრუნა
 გამოვარდა. საიფორმა ბარამს თავი მოუდრიკა დას-
 ტურ სთხოვა და გამოვარდა შირვანქას დაუპირ-
 დაპირდა, იქით შირვანქა და აქეთ საიფორ შუბები

დაიგრძელეს და ერთმანეთს შეუტივეს და შუბებში
 შუბის წვერებს ჰკრეს და ორთავემ დაღეწეს და
 ერთსა არა ევნო რა, შირვანქამ ხმალსა ხელი
 მოივლო საიფორ თავსაფარი დაიღო და მისი მო-
 ქნეული ხმალი მით გაცუდდა და თითონაც ხმალი
 მოიწოდა და დაუქნია, შირვანქაც გამოცდილი
 იყო შემოკვრასა შიგან თავი მოარიდა და მხარსა
 მოიხვედრა ეგონა სუბუქათ დამკოდსო, მაგრამ საი-
 ფორ ეგრეთ მაგრა შემოკრა მარცხენესა მხარსა და-
 მარჯვენესა ილლიას შიგან გამოაგლო სულთაგან
 დაცალა. საიფორ ორთავე ლაშქართა გვირგვინი შე-
 იქმნა სხვასა გოლიათსა უყივლა ვინ ხართ იმისი
 მჯობი გამოდითო, ზარგი ვინმე იყო მაღარ ერქვა
 იარაღით შეკმაზული იგი მოუხდა საიფორსა, ხელთ
 ლახტი ეჭირა დიდი და მძიმე, შეიმალლა საიფორც
 დაკვრასა ულამოდა, საიფორ გაშლილსა ხელსა
 ხმალი შემოჰკრა და ლახტიანი ხელი გააგდებინა.
 სხვა ზანგი მოუხდო იგიც მოკლა ამით თითოსა და
 თითოსა ხოცითა ოცდათორმეტი მარდი ფალე-
 ვანნი დახოცა, რა ვერ რომელისაგან იმისი ომისა
 გასწორება ნახეს, ოცდაათი ათასი ზანგი ერთად
 მოუხდეს, შამსამ დაინახა იგიცა თორმეტი ათასისა
 ქაჯითა მიეშველა ძმასა თვისსა და პირველსავე
 ხლმის მოქნევისა ზედან ათი ათასი შავი მოკლეს,
 სხვანი დაირჩინეს და ზოგნი გაიქცნენ და მათსა

ლაშქრამდისინ სდრეეს და გამობრუნდენ, თავიანთ
 ჯარშიგან მოვიდნენ, საიფორ აგრევე საბრძოლ-
 ველსა აღაგსა ცხენსა იბრუნებდა და იძახა ვინ
 არის გოლბათი, ხუ კაცი თუცაღა დარჩომდეს
 ნაეშადსა გამოვიდეს, სისხლი მწყურდების. რა ნაე-
 შადმა ეგრე შეუბოძრად ძახილი გაიგონა მენისა-
 გინ შემოღედ გამოვარდა და შეიბნეს, მზის ჩასვლამ-
 დის ირმეს რა მზეს წათელი წაუჭიდა ნაეშად
 უბრძანა ღამე ჩვენი შუა მახალი შეიქმნა ხვალ
 ენახოთ ერთმანერთი და ესცნათო რართავე ჩვენი
 ძალ გულით და გაიყარნენ. ესენი თაფთაფისა აღდგონსა
 წავიდნენ, ბარამ საიფორსა ამოდ უმაცხინძლა, მას
 ღამესა შაბრანგ ნაეშადის ჯარში მივიდეს და ნაე-
 შადის წინამდევთა მონათა შიგან გაერივა და სინ-
 ჯვა დაუწყეს, ნაეშად მოწყენილისა გულითა თვისთა
 დიდებულთათანა იჯლა და იგინი მოახსენებდეს: აქა
 ჩვენი მოწყენა მტრისა იმედო არისო და ჩვენის
 ჯარისა ღონის მოღება იქმნების. ნაეშად მას ღამესა
 ბრძანა და ზმნა დაუწყეს შუალამემდისინ რაცა მათ
 ჰფერობდათ ღხინისა ეცდნენ და დაწვნენ ძილად,
 შაბრანგ კარავს უკან მივიდა და კარავისა კალთა
 ხანჯლით გაჭრა შიგან შევიდა ნაეშადისა თავის
 მოკვეთა დააპირა და თქვა ვაი თუ ბარამ გამოწყ-
 რესო თავი აღარ მოჰკვეთა, თაჯი, ხმალი და ხანჯა-
 ლი აიღო, სანთელსა ხელი დაფლო და ნაეშადის

შუბლთა და აღვენთა და გამობრუნდა, თვისთა
 ლაშქართა შიგან მოვიდა; მეორესა დღესა რაღაც
 ნაფშადსა წამოვიდა ბარამს მოართვა და ამბავიც
 მოახსენა, ბარამ უბრძანა თუცა იგი მოგეკლა
 დღესაც შენი სიკვდილი იქნებოდა, შაბრანგ თავი
 დაჭვიდა და გამობრუნდა. ბარამმა ნაფშადის ფარი
 და ხმალი მასვე უბრძანა. რა დილა გათენდა, ნაფშადსა
 თავის იარაღი რა აღარ დახვდა, თვისნი მესაწოლონი
 რომელნი მას ლამესა უღარაჯებდნენ ყველანი დახო-
 ცა და თვისთა სპათა უბრძანა საომარსა ბუკთ ჰკარითო.
 დაუწყეს ბუკთა და ტაბლაკთა ცემა და ლაშქარნი
 დაპირის-პირდნენ დროშები გაშალეს ერთავე ლაშ-
 ქართა, ნალარის ხმა ცამდის გაიწეოდა, ბულღარისა
 ხემწითე ნაფშად ესპარესა გამოვიდა და იძახდა
 ყოველნი აქა შემოვილნი ვინც არ იცით ანუ
 ვერ მიცნობდეთ მე ვარ ნაფშად ბულღარის ხემწი-
 თე, აქა მე ვარ ბეზიდის მამა და სისხლის
 ამღებო რომელიცა თუ შეილი ჩემი და შენ
 მოვიკლავს, აწ მეც მოველ და ჩემიცა ძალ-ჯო-
 მარლობა ნახე, ნაფშად ამას მალლისა ხმით ყვირო-
 და და ბარამს ესეგები ესმოდა ბარამ ცხენი ითხოვა
 და ნალარას აყვრევიან, ცხენსა შეჯდა და მასვე
 წამსა მიმართა და შეჰყიფლა, მე ვარ შეილისა შე-
 ნისა მკვლელი და აწ შენცა გაგზავნი მასთანა
 ამბის საცნობელად და მან გაცნობოს ჩემი მეომ-

რობა ნაეშადმაც შემოუტივა და ბასრისა უგრძესი
 ლახტი ბექსა დაჰკრა, ბარამ ფარი უფარა და მან
 ესე ძლიერად დაჰკრა ფარი სრულიად დაულეწა
 წელიცა ძალზედ ატკინა და ცხენმაც უკლო, ნაეშად
 გასცილდა, ბარამა ცხენი მოიბრუნა და თავის ლახ-
 ტი თავსა შექოივლო და ნაეშადსა თავსა დაკვრასა
 ლამოდა, ნაეშად შარი დაირქვა, ვითაც სახმილი
 ანთებულ იყო, ნაეშად უღონოდ გახდა და ცხენიცა
 ეგრეთ დადგა, რომ საძრობისა ღონე აღარ ჰქონ-
 და, ნაეშად სხვასა ცხენსა შეჯდა ხმალსა ხელი
 წაივლო და ბარამსა შარსა ეცა ფარი გაჰკვეთა და
 შარსა შინა ფოლადი ეტანა მას ზედან დადგა ბა-
 რამმა შარი გააგდო და ხმალი მოიწოდა და შეუ-
 ტივა ნაეშად ფიცხისა ხელ-ფეხის ჰატრონი ცხენისა
 გავას გარდახტა და შარი შეაშველა. ბარამმა შარი
 სრულიად გაჰკვეთა და ცხენსა თავი გააგდებინა,
 ფიცხლავ ცხენი ადგილსა დაეცა და ნაეშად ფეხ-
 ზედ დადგა, რა ბარამმა ნაეშად ჩამოვარდნილი
 ნახა, თითონაც გარდახტა და ხმალ გამეხებულმა
 ნაეშადისკენ გაიქცა, ნაეშადმა ხმალი ჰსტყოცნა და
 თითონაც ბარამისკენ მიმართა, ბარამ ალავს გაეკრა
 და ხმალი აიციდინა რა წამოხდა ნაეშადს ხმალი
 აღარ ჰქონდა, მანცა იქვე დაეგდო და ხელდახელ
 შეიძგერნენ, ნაეშად ცოტად მალალი, სქელი და
 ფალევენურად აგებული იყო, ბარამ მოიხარა და

ორივე წინა ფეხები შეუპყრა. ნაეშად ზედ დაწვა
 ბარამ ლეთის სახელი ახსენა, და ასწია მალლა
 აილო და მიწას დაახეთქა; მკერდზედ მუხლი
 დააბჯინა და ხანჯლითა თავი მოჰკვეთა. რა ეს
 ჰსცნეს ორთავე ლაშქართა შუა ეგეთი ზრიალი
 შეიქმნა რომ ცა ქვეყანასა დაჰსცემოდა ამისაგან
 უფრო გვრგვინვა ძრიელი და ზასილი საშინელი
 იყო. ბარამ ცხენსა შეჯდა და ლაშქართა შეუტოვა
 იქით საიფორ თვისის ძმებითა და ქაჯთა ლაშქრითა
 მიუხდა და ბუღლარელთა შიგან დაერივნენ რისხვა
 მღეთისა დასცეს მათზედა და გააქცივეს. საიფორ
 და ძმანი მისნი მისდევდნენ და თანხოცდნენ ორსა
 ალაჯსა სდივეს და მობრუნდნენ, ფახფორ კემწიფე
 წინ მიეგება ბარამსა გარდაეხვივა და თვალ-პირი
 გარდაუკოცნა; ბუღლანდამ და ჩინეთ დიდებულთა
 ცოლნი კოშკით იმზირებოდნენ და ბარამის ეგეთი
 ძლიერება უკვირდათ. ფახფორ ხემწიფე, ბარამ და
 საიფორ მასვე ბაღსა გარდახდნენ და ნადიმი დაიდ-
 ვეს სამსა დღესა, ბუღლარელ ახერხა საქონელსა
 წილაედნენ და ვარს ზედ ჰყრიდნენ, ბარამ მოახსენა
 ეს ქონება პემწიფისა ძღვენი იყოს, ფახფორ ბრძანა
 შუა გაესწილოთო უსმინა და შუა გაჰყვეს, ბარამ
 ჩანელთა აძღვედა და ფახფორ ბარამისა და საი-
 ფორისა ლაშქართა და იგი შეყრილობა გარდასწყდა
 პემწიფე თავის საწოლს წაბძანდა და იგი დღე მო-

სვენიებით დაჰყუენ და რა ღამემან მოწყენილობისა
 ნაღველი დაამცირა და მზემან ყირმიზი თარდა
 ქვეყანასა ზედა მოჭვინა; ბარამმა საიფორსა და ღო-
 სტარ ვეზირსა უბძანა; ვახტორსა შემწითისა წინაშე
 მიდით და ჩემი აქ მოსვლისა და ამ ჭირნახულისა
 მიზეზი აცნობეთ, აღგენენ საიფორ და ვეზირი
 შემწითისა იახლენ; შემწითემ თრგვე შეიღობით
 მოიჯიოთხა და მღაბლად მოუქცა, ვეზირმა შემწითეს
 წინა მუხლი მოუყარა და მოახსენა; ბარამის მოგ-
 ზიენილი ვარო შემწითისა წინაშე, ამაღ რომც ბა-
 რამის თავი დაიმონოთ და მისი მოყურობა იკად-
 როთ ასულისა თქვენისა ბოძებითა; შემწითემ
 უბძანა ათასი სული მედგას გვამში, არც ერთი
 ბრამისთვის არა მშურს; მაგრამ ასულსა ჩემი თავის
 ნებასა ზედა ნახარდი არის და ქმარსა არა ნდო-
 მობს იგი რომ ბარამს მიუცე ვაი თუ თავი გაიწყუ-
 დოს. საიფორს უბძანა ვარგი იქნების ნუ თუ იგი
 დაიყოლიოთ, აღგენენ საიფორ და ღოსტარ გა-
 მოვიდნენ და ბარამს უამბენ რაცა მათ ეუბნათ,
 აწვე შამსა გაფგზაენოთ, სარაფსა და როგნა მოი-
 ყვანონ და ატრა დევისა საქონელიც მოიტანონ
 საიფორმა შამსა და შამსა გაფგზაენა და სწრაფით
 მოსვლა დავედრა; მუორგნა დღესა დილისა მო-
 კმითა მოვიდნენ, ბარამმა სარაფსას უთხრა; ამოდ,
 დაიკაზმენითო და გულოანდამთან მიდით და მოა-

ხსენეთ: ბარამ შენსა გზასა ზედან გარჯილი და
 თავ გაწირული შეყრისა თქვენისა მოსწრაფე არის
 აწ თქვენცა თავი დაიმდაბლეთ და იკადრეთ რასა
 ბრძანებს აღგენ სარავსა და როგზა მრავალის
 მოახლებითა მუღანდამის კარზედ მივიდნენ და
 მესაწოდეთ შეგზავნეს მუღანდამს მათი ნახეა იამა
 საწოლი მოაკმაზინა და თითონაც მრიკმაზა და
 შეიწვია, მუღანდამ მათმა სიტურთემ გააკვირვა და
 გულთა შინა თქვა ბარამს ესენი ჰყოლია მე
 რალას მაქნევს მათმა ნელა ქცევამან მუღანდამს
 გული წაუღო და თავსა უთხრა დათმობა ჰსჯობს,
 ადგა წინ მოეგებე და ერთმანეთს მოეხვიენენ იქით
 აქეთ მოისვია და თვით შუაში ჩაუჯდა, სარავსა გუ-
 ლანდამის კამკამებას გაეცვიფრებინა და ამბობდა
 უმართებლეთ ყოფილი ბარამ რომ ჩვენ არ გვინდომა,
 მუღანდამმა ბრძანა, საიფორის და რომელი არისო,
 როგზამ სარავსაზე ხელი მიიღო ეს არისო საიფო-
 რის ჯერ ქორწილი არ უქნია როგზასთანაო, სარავ-
 სამ მოახსენა ვირემ ბარამ არ იქორწინებს, მანამ
 საიფორს უგვიანდებისო; მუღანდამ უთხრა ბარამ
 ვის თხოვილობსო! ნუ თუ შენი თავი ჰსთხოვოს
 საიფორსაო, სარავსამ მოახსენა მე მხველობასაც
 უღირსი ვარო თუმცა ჩემი ნდომა ჰქონდაო ბარამ
 ესოდენსა ჰირსა არა ნახამდაო და სიმწარეს არ
 გამოივლიდაო, მუღანდამ უბძანა შენ ქმართ არა

გიციო, მან არ ყოფნა მოახსენა, ზულანდამს იამა
 და სადილისა მირთმევედ ბრძანა, ნადიმი დაიდგეს
 და ლალობა დაიწყეს, სარავზამ მოახსენა. ბანოვანთა
 თავადო ზარამისაგან რებულნი ჩვენ მხეველნი
 წინაშე თქვენსა, თუმცა გესმოდესო თუ
 ზარამს რა ჭირნი უნახავს თქვენთვის და მომლოდ-
 ნე არის მზისგან შუქის მოფენასა. ზულანდამისა
 მსგავსად თავი მოიდრიკა დ აღარა თქვა რა. როგ-
 ზამ მოახსენა ვარდისა მიჯნურისა ბულლარის
 ენა რამან დაადუნაო ნუ თუ ზარამ არა ღირს იყო
 თქვენს შეყრასა; გულანდამ ნელათ მოუბარმა
 სიტყვა მოუგო და აგრე უთხრა: მე თავის უფალი
 არა ვარ მამა ხემწიფეთ მიზის და მე ასული მისი
 მორჩილი ბძენებისა მისისა, მათ მოახსენეს, ზარამ
 ხემწიფესა კაცი აახლო და მამასა თქვენსა ესრეთ
 ებძანა ასული ჩემი თვისა ნებასა ნაზარდი არის.
 ზულანდამ ბრძანა მე მამისა ჩემისა ურჩი ვერ შე-
 ვიქმნები; მაგრამ მე ქმარის შერთვა არა მწყავეს
 თუ მამა ჩემი მიმცემს ვისმე ჩემგნით უარი არ გაე-
 წყების, თუმცა ზარამს მივხვდი მეცა ააჯო მექმნება
 რამე რა ჩინეთ დედოფალმა დედამან ჩემან ჩინეთის
 ქვეყანასა მზე დაუბნელდა და ჩინეთის ხემწიფემ
 ჩემი მთვარის მოშორებული ბნელსა ლამესა შინა
 დაუუტევა; მასუკანით მამასა ჩემსა სათნოდ იგი
 ბნელი ლამე არ გათნათლებია და მასუკან უკუნსა

შინა იმყოფების ნუ თუ გულანდამ დედისა სიკვდილისათვის არა შეშქირდესო, აწე ბარამსა და საიფორსა ამას მეცა მოვახსენებ: სარაესა ჩინეთის დედოფლად დაუტეონ, სარაესამ თავი მოიხარა და ბრძნად მოუბარი აღარას უბნობდა, როგზამ მოახსენა ბარამ და საიფორს უენსა ბრძანებასა ვერ გარსტეხენ, ბუღანდამმა თქვა თუ ჩემს სიტყვასა ისმენენ, მას უკანით ჩემი თავი მამისა ჩემისა ხელთ არის. აღგენ და გამოვიდნენ მოვიდნენ, ბარამს მოახსენეს რაცა ბუღანდამისაგან მოესმინათ, ბარამმა საიფორს უთხრა, უენსა დასა მისცემ უახფორს თუ არაო? საიფორს მოახსენა მე და დაცა ჩემი უენის ბრძანებისა მორჩილნი ვართო. ბარამ დოსტარ ვეზირი ხემწიფესთან გაგზაენა და ესე ამბავი უკლებლად შეუთვალა, უახფორს დოსტარს უბძანა, ბუღანდამ ბარამისთვინ მიმიცნა და ასულსა ჩემსა ერთი რამე მოუნდომებია ვეჭვე უენც იცოდე, ვეზირმა მოახსენა იგინიცა მორჩილნი არიან ბრძანებასა თქვენსა, ბარამს კაცი უბოძეთ. უახფორს ხემწიფესთან თავისი ვეზირნი მივიდნენ და სთხოვეს, ბარამსა და საიფორსა რა უარი გაეწყობოდათ და ნება დართვეს, ერთმანეთსა და მადლი გარდაიხადეს ბარამმა დოსტარ ვეზირსა უბრძანა: ათი ყათარი აქლემი ყირმიზითა კიდებული და ერთი თვალითა და მარგალიტითა ეგრეთვე ლაღნი

უთვალავი გულანდამს გაუგზავნეო, ვეზირმან ეგრე ჰყო რაცა ბარამმა უბძანა: შახფორსაც გამოეგზავნა მრავალი საუნჯე სარავსას-თვის. ბარამ ბრძანა ძალიან სარგებლობა იქმნების, ხემწიფეს მოახსენეთ აწვე სარავსასთან იქორწინოს, მანცა უსმინა და ქორწილი ქმნა, რა ხემწიფის ქორწინება გარდასწყდა და მოიცალეს მერე ბუღანდამისათვის, სრა და საყოფი მოკმაზეს და ბარამის ქორწინებას ხელი მიჰყუეს, ერთსა წალკოტსა-შიგან უბან და უბან ისხდნენ შეექცეოდნენ და ლხინობდნენ, ვნახეთ რა ასი ოდენნი მონანი სულ ოქროთა და თვალითა შეჭედნილი ხელთა სხვა-და-სხვა ფერად ჩამოსხმული სანთლები ჰქონდათ, ბარამ აწვიეს და წაიყვანეს ხემწიფურისა ქცევითა და გულანდამს გვერდს მოუსვეს, ბარამს თვისი პირველი ჭირი დაავიწყდა და ამ შაირსა უბნობდა:

სოფელმან მუდამ ბრუდავმან მომცა კეთილი ქონება
ჭირნი მიხვენა სოფელმან, არადეს მომცა ყოვნება;
მივხდი საყვარლის ჭკრეტასა, საიმედო შეიქნა პოება,
ნატრული მივხდი სანატრსა აღარ სამსჭირთა ხსენება,

ბარამ გულითა მხიარულითა და პირითა მოცინარითა ენასა, ვით ბულბული არ აყენებდა და ამას ჭიკჭიკებდა, ნეტარ ამისი უამესი რამცა იყოს,

კაცი მონატრე რომლისა თვისცა იყოს გულის ნებას მიხედეს და ჭირნახულობა სიხარულად შეეცვალოს, გულანდამს ხელი გამოუღო და ხელთა დაიჭირა. ორმოცსა დღესა ქორწინება გარდაიხადეს და ლხინმა თავი მოაძაგათ, ადგა დოსტორ ვეზირი ბარამისა ბრძანებითა ფახფორ კელმწიფესთან შევიდა და მოახსენა: ბარამ ბრძანებითა ფახფორ ფარვანისა მთხოველი, შეიღო ქიშვარ კემწიფისა და მემკვიდრე ურუმელთ ქვეყნისა და ამას გარე, უძეო მამა მისი გზახედ ყურებით გარეტებული მიელის; თუმცა სული აღარ შერჩომია და რადანახავს ხელ ახლად დაჭაბუკდების და ნურცა თქვენ აყენებთ, ბრალმან მისმან არ გაიწიოსთ. ფახფორ ნება დართო და დიდი ძალი მზითევი შეიღს მოუმზადა და გაატანა. ბულანდამ და ბარამ ხელმწიფეს იახლენ გამოესალმენ, ფახფორ ბძანა აწესე მნებაეს ბარამისა და საიფორისაგან კეირაში ერთხელ ქაჯნი მოვიდოდნენ და თქვენს ამბავსა მაცნობდნენ და ჩემსა თქვენ მოგითხრობდნენ საიფორ ნება დართო რომ ჩემნი ქაჯნი ივლიდიან. ფახფორ და ბარამ გამოემშვიდობნენ ერთმანერთს როვზა და ბულანდამ თან წაიტანეს თავის საპატრონოსა მიმართა, რა სიახლოვესა მივიდა ბარამ თავისის ჯართა, შაბრანგ მახარობელად გაისტუმრა, მივიდა შაბრანგ ქიშვარ ხემწიფესა თან, ბარამის მისვლა ახარა

და გულანდამის მიყვანა, ხემწიფე ვით გამხიარულდა, რომ არა ვინმე იტყვიან, მრავალი უცხო ცეცხლისა სათამაშოები მოამზადა, თვით და ურუმელთ ლაშქარი ბარამისა წინ მისაგებლად წავიდნენ. რა ქიშვარ ხელმწიფემან თავისი შვილი მხიარულად მისული ნახა მოეხვია გარდაკოცნა და ღმეთსა მადლი მისცა და თვით ლაშქართ უბრძანა ამ ორმოცსა დღესა ყოველთა ჩემთა საბრძანებლთა ლხინი გმართებსთ, რომ ბარამ მშვიდობით მომივიდა. რაგინდ რომ კარგი საყვარელი მოგიკვდესთ თვალთ ცრემლი ნუ მოგედინებათ და მეც ეს წყალობა მიქმნია ამ სამს წელიწადსა არა ჩემი ბეგარა და გამოსაღები არა ნივთი მოვიკითხორა სისხლისა სიძვისა და ქურდობისა მეტი, რომ არავინ შეწუხდნენ, თქვენც ორმოცსა დღესა ლხინი და განცხრომა გქონდესთ. თუ ვისმე ბალსა შიგან ლხინი ენებოს ანუ სახლსა ჩემსა, მოხელენი გაიმასპინძლებდნენ, ამ წესით იყო და რა ქორწილება გარდასწყდა, ქიშვარ ხემწიფემ მესამეს ხელი მოკიდა სახელმწიფო ტახტსა დასვა და თვისი გვირგინი დაბურა თვით მეფე და დედოფალი მღვთისა მადლობისა შემწირველნი შეიქმნენ და ბარამ ხემწიფობად და სამართლობლად ყოველის თვისა სხვა და სხვასა ძღვენსა გზავნიდა ფახფორის და საიფორის წინაშედ და ეგრეთვე მათგან მოსდიოდა და

ერთმანეთის ანბავს სცნობდნენ. სანამ სოფელსა შინა იყვნენ ამას იქმოდნენ და როცა სწუთრო გარდა უბრუნდათ და ამა სოფლისა ბეგარა გარდა იხადეს ეს მათი ამბავი დარჩა მათად მოსაგონებლად ამინ.

რე ბარამ წუთი სოფლის ამბავი სცნო,
ერთ დღეს დაფიქრებულმან ესეები სთქვა:


სოფელთ ამხანაგი ხარ, წყეული ეშმაკისანი,
გინდა რომ ის იმოქმედო, რაც საწყენთა ღვთისანი,
ბოლოს უამს უკვლავ დაგვაგდო, ნატრული სამოთხისანი,
ვამ სოფელთ ცრუ სოფელთ უღვინოდ დამათრობელთ.

სოფელთ მწარეს ცოდვასა, ტუბილად მარჩვენებ კარგათა,
ბოლოს უამს მწარედ გარდამიქცევ, ამეკიდები ბარგათა,
ხაზინა რომ მოვაგროვო, სულ გარდამიქცევ ბარგათა,
ვამ სოფელთ ცრუ სოფელთ უღვინოდ დამათრობელთ.

სულ ჭკეუანსა შენ გიჩივის ყოფილხარ მუხანათია,
კაცს ასე მოეჩვენები ვით გამარტული სათია,
ათას წელიწადი მაცოცხლო მგონია ერთი სათია,
ვამ სოფელთ, ცრუ სოფელთ, უღვინოდ დამათრობელთ.

ნუ მიენდობით სოფელსა ნუ სართ იმისი ამაწი,
 იფიქრეთ მეცნიერებით გაშინჯეთ მისი დამაწი,
 ვინც მიენდობა სოფელსა მზასა აქვს მისთვის სამაწი;
 ვაი სოფელო, ცრუ სოფელო, უღვინოდ დამათრობელო.

დასრულდა ესე ბარამისა და გულანდამისა
 ანბავი.



ბარამისი.

ანბავი ბარამისა და გულამდამისა. გამოცემული
ივანე კალატოზოვის და პ. ფერაქისგან.

ი ს უ ი დ ე ბ ა

ტუკიის ხიდზე შართანოვის წიგნების მალაზიაში
და ქაშუვეთის შენობაში ბ. ჩარკვიანის წიგნების
მალაზიაში. აგრეთვე კვირაობით იარმუკაში.

ფასი ყველგან ერთი აბაზი.

ამასთანავე იხუიდება: სრული ეთერიანი
გამოცემული ივანე კალატოზოვისაგან.

ფასი ერთი აბაზი.



Handwritten text in a rectangular stamp, possibly containing a name and a date.

891.51

8955

Faint circular stamp or seal, possibly containing a name and a date.

Handwritten text at the bottom of the page, possibly a signature or date.

Handwritten signature or initials in a circular shape.

891.51

3 255